



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

დოლიძე, ანა, აკადემიური წერა სამართალში, თბილისი, 2017

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ანა დოლიძე

აკადემიური წერა
სამართალში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017

ანა დოლიძის „აკადემიური წერა სამართალში“ პირველი სახელმძღვანელოა, რომელიც წარმოადგენს აკადემიური წერის ფუნდამენტურ სტანდარტებს სამართლის სფეროში. სახელმძღვანელოს ყოველდღიურად გამოიყენებენ სამართლის სტუდენტები, პროფესორები, პრაქტიკოსები, საჯარო მოხელეები, ვინაიდან მასში გადმოცემულია აკადემიური წერის აუცილებელი და საბაზისო პრინციპები.

სახელმძღვანელო განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც სწავლას უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში აპირებს. მასში მოცემული პრინციპები უნივერსალურია და ხელს შეუწყობს ქართველ სტუდენტთა და მკვლევართა აკადემიური ნამუშევრების ჰარმონიზაციას დასავლურ საუნივერსიტეტო და სამეცნიერო სტანდარტებთან.

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. სახელმძღვანელოს შექმნა შესაძლებელი გახდა პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) – ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



© ა. დოლიძე, 2017

© ფოტო – ტელი ბლაგონრაჟოვა

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჰაჰვაჰაძის რაზმ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; universal@internet.ge

ISBN 978-9941-26-151-0

დედას, ვინც მასწავლა შრომა

სარჩევი

შესავალი	5
I. ნაშრომის სტრუქტურა	11
II. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომთა წერის თავისებურებები.....	76
III. წყაროს მითითების სტანდარტები	89
დასკვნა	108

შესავალი

არსებობს მოსაზრება, რომ წერამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა ვიზუალური კულტურის განვითარებასთან ერთად. იმ პირობებში, როდესაც უამრავი ადამიანი ინფორმაციას ვიზუალურად იღებს, შეიძლება, წერით კულტურას და მოსაზრების წერილობით გადმოცემის ხერხებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. თუმცა ჩვენ შორს ვართ იმ ეპოქიდან, როდესაც წერას საერთოდ დაეკარგებოდა მნიშვნელობა. აკადემიური ნაშრომების წარმოება მთელს მსოფლიოში სწორედ რომ წერილობით ხდება. წერა სამართლის სწავლებაში მთავარი დასაყრდენია მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სწორედ რომ წერითი ნაშრომების მეშვეობით ხდება სტუდენტების ცოდნის შემოწმება; ასევე არ დაუკარგავს მნიშვნელობა ინფორმაციის წერილობით გადმოცემას ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. სამართალწარმოებისა და ბიუროკრატიის ყოველდღიურობა ხომ წერაზეა დამოკიდებული. იურისტის პროფესიისათვის წერითი უნარ-ჩვევები აუცილებელია ყოველდღიურობაში: მემოების, საჩივრების, განცხადებების,

სარჩელების წერა იურისტისათვის ყოველდღიური საქმეა და სწორედ რომ კარგი წერითი უნარ-ჩვევებით ხდება მკითხველის დარწმუნება საკუთარი პოზიციისა და შეხედულების სისწორეში. ასე რომ, წერის კულტურა და უნარ-ჩვევები კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს მნიშვნელობას.

სახელმძღვანელოს მიზანია, დაადგინოს ის ძირითადი ჩარჩოები, რომელთა მიხედვითაც სამართლის სტუდენტები და ლექტორები იხელმძღვანელებენ აკადემიური ნაშრომების წერისა და შეფასებისას სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სწავლებას საქართველოში დიდი ისტორია აქვს, სამართალში აკადემიური წერის მიღებული სტანდარტები ჯერჯერობით არ არსებობს. არსებობს საყოველთაო კონსენსუსი, რომ აკადემიური წერის კულტურა სტუდენტთა შორის დაბალია და რომ აკადემიური წერის მაღალი კულტურის არქონა მძიმედ აისახება უმაღლესი განათლების ხარისხზე. ყველა ლექტორი, სასწავლებელი თუ გამოცემა გასცემს საკუთარ მითითებებს აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით. ასეთ მითითებებზე იხარჯება ბევრი დრო, რაც აკლდება ნაშრომის ხარისხსა და შინაარსობრივ მხარეს. ამავდროს, საერთო სტანდარტების არარსებობა აბრკოლებს წერით სტანდარტებზე ზოგად მსჯელობას და მათ განვითარებას. უპრიანია, წერის მაღალგანვითარებული და უნივერსალური სტანდარტები, მათ შორის მითითების წესები, წარმოიშვას სწორედ სამართლის სფეროში, რომელიც

თავისი ფორმალიზმით გამოირჩევა და ამ მხრივ სხვა მეცნიერებათა შორის წამყვანია.

აქ მოყვანილი ძირითადი სტანდარტები სტუდენტებს გაუადვილებს ამოცანას და მისცემს საშუალებას, უფრო მეტი დრო დაუთმონ ნაშრომის შინაარსს. ამავე დროს, ის შეუმსუბუქებს შრომასა და ამოცანას ლექტორებსაც, რომლებსაც შეეძლებათ, წერიტი დავალების დროს მიუთითონ სტუდენტებს სტანდარტებზე და ამით თავიდან აიცილონ დროისა და ყურადღების გამახვილება იმ ნაწერების ფორმალურ მხარეზე, რომლებსაც არ აქვთ დამაკმაყოფილებელი ფორმა ან აქვთ გაუმართავი სტრუქტურა.

ამავე დროს, სახელმძღვანელო და მის მიხედვით წარმართული აკადემიური წერიტი სამუშაოები ბევრად გაუადვილებს ქართველ სტუდენტებს აკადემიური წარმატების მიღწევას უცხოეთის უნივერსიტეტებში. პირველი გამონწევა საბალაკავრო ან სამაგისტრო სწავლების დაწყებისას უცხოეთში ასეთ შემთხვევაში ხომ სწორედ მაღალ წერიტი სტანდარტებთან შეჯახებაა.

სახელმძღვანელოს იდეა და შთაგონება მომდინარეობს კვლევასა და სამეცნიერო წერაში ავტორის ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მიღებული მრავალწლიანი გამოცდილებიდან. სახელმძღვანელოს შედგენისათვის განვიხილეთ უკვე არსებული სტანდარტები, როგორც ქართული, ასევე უცხოური. გავეცანით დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ნაშრომს – „მითითების და აღნიშვნის სტან-

დარტი სამართალში“, ღია კაჭარავას და სხვა ავტორთა შრომას – „აკადემიური წერა დამწყებთათვის“¹, ციტირების წესს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროგრამების ფარგლებში მომზადებული ნაშრომებისათვის, ასევე სხვადასხვა გამოცემისათვის სპეციალურად შემუშავებულ სტანდარტებს; ამავე დროს, მიმოვიხილეთ: ამერიკაში სამართლებრივი წერის უნივერსალური, ე.წ. ბლუბუქის სტანდარტები,² ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის შემუშავებული სტანდარტები,³ კანადის (მქვილის უნივერსიტეტის) სტანდარტები სამართლის სფეროში,⁴ თუმცა სახელმძღვანელოს მიზანი, უპირველეს ყოვლისა, ქართული სამართლებრივი კულტურისათვის ორგანული სტანდარტების შექმნაა. ამისათვის ავტორის მიერ შეთავაზებულმა სტანდარტებმა გაიარა მრავალი განხილვა და დისკუსია ქართველ მეცნიერებსა და იურისტებს შორის. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო: ნინო ბალანჩივაძეს, თამარ გაბელაიას, გიორგი ვაშაკიძეს, ნონა თოდუას, თამარ თომაშვილს, ზვიად კორძაძეს, ბესო ლოლაძეს, ღია მარაქველიძეს, ზურაბ მაჭა-

¹ ლ. კაჭარავა, ხ. მარწყვიშვილი, ლ. ხეჩუაშვილი, *აკადემიური წერა დამწყებთათვის*, თბ., 2007.

² *The Bluebook: A Uniform System of Citation*, Harvard Law Review Association, the Columbia Law Review, the University of Pennsylvania Law Review, and the Yale Law Journal (United States), 20th Edition, 2017.

³ *Publication Manual of the American Psychological Association* 6th Edition, 2017.

⁴ *Canadian Guide to Uniform Legal Citation*, 8th Edition, 2014.

რადეს, მარი რუხადეს, გიორგი შარვაშიძეს, გიორგი ჩხეიძეს, მიხეილ ჩხენკელს, სოფიო ნაქაძეს, ლადო ჭანტურას და თორნიკე ჯანელიძეს მოწოდებული შენიშვნებისა და მხარდაჭერისათვის; ასევე მადლობა Georgian Law Journal-ის სარედაქციო საბჭოს ამ სტანდარტების დანერგვისთვის. ამ განხილვების შედეგად სახელმძღვანელო დაიხვეწა და ქართული სამართლებრივი კვლევისა და სწავლების მიზნებისათვის ადაპტირდა; ასევე განსაკუთრებული მადლობა საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, გიორგი აბაშიშვილს, ადმინისტრაციაში მუშაობის პერიოდში ჩემი სამეცნიერო და აკადემიური მისწრაფებების სრული მხარდაჭერისათვის.

ვინაიდან ეს სახელმძღვანელო სამართლის სტუდენტებისათვის, მიუხედავად უნივერსიტეტისა, საერთო წერითი სტანდარტების შემოტანის პირველი მცდელობაა. ბუნებრივია, მასში აღმოჩნდება ხარვეზები. მის გასაუმჯობესებლად მკითხველის შენიშვნებს სიამოვნებით განვიხილავ.

უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის წერითი ნაშრომის შექმნა, მათ შორის: ესე, კვლევა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი თუ სადოქტორო დისერტაცია. მოთხოვნილი ფორმის მიხედვით იზრდება კვლევის მასშტაბები, სიღრმე, გვერდებისა და სიტყვების რაოდენობა, თუმცა წერითი უნარ-ჩვევები, რომელთაც სტუდენტები იყენე-

ბენ, ერთი და იგივეა. ის სტრუქტურა და ძირითადი ნა-
ნილები, რომლებიც ახასიათებს საკურსო კვლევას,
ბევრად უფრო დიდ მასშტაბს იძენს დისერტაციის
დროს, თუმცა ძირითადი მახასიათებლები, მაგალითად
პრობლემის ან კონტექსტის აღწერა, ან ლიტერატურის
მიმოხილვა, იგივე რჩება. შესაბამისად, ეს სახელმძღვა-
ნელო განკუთვნილია აკადემიურ წერაში იმ საბაზისო
უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, რომელთაც სტუ-
დენტები სხვადასხვა ასპარეზზე გამოიყენებენ.

სახელმძღვანელო ორ ნაწილად იყოფა: პირველი
ნაწილი ეთმობა ნაშრომის სტრუქტურას და მის ძირი-
თად მახასიათებლებს, ის გვაცნობს სამართალში აკა-
დემიური ნაშრომის შინაარსის ძირითად კონტურებს;
მეორე ნაწილი მოიცავს წყაროს მითითების სტანდარ-
ტებს. ამგვარად, სახელმძღვანელო მოიცავს იმ ძირი-
თად ინფორმაციას, რომელიც სამართლის სტუდენტს
ხარისხიანი წერიტი ნაშრომის შექმნის საფუძველს მის-
ცემს.

I. ნაშრომის სტრუქტურა

აკადემიურ წერაში ვიყენებთ, ძირითადად, ნაშრომის ორ სახეს – პოლემიკურს და კვლევითს. პოლემიკური ნაშრომის მიზანია, დაარწმუნოს მკითხველი ავტორის პოზიციაში და საკუთარ აზრზე გადმოიყვანოს ის. პოლემიკურ ნაშრომში ავტორის პოზიცია თავიდანვე ცნობილია. პოლემიკური ნაშრომის მაგალითებია: სარჩელი, საჩივარი, მემორანდუმი, სადებატო სიტყვა და საპაექრო გამოსვლა; კვლევითი ნაშრომის მიზანი კი განსხვავებულია: კვლევითი ნაშრომით ავტორი სიახლეს, ცოდნას სძენს მკითხველს, განეული შრომის, კვლევის შედეგად მოპოვებულ ცოდნას აწოდებს დაინტერესებულ საზოგადოებას. კვლევითი ნაშრომის სახეებია: მოხსენება, ანგარიში, კვლევა, საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი და სადოქტორო.

პოლემიკურ და კვლევით ნაშრომს შორის სხვაობის არსი ავტორის პოზიციის სიცხადეშია. პოლემიკურ ნაშრომში ავტორი თავიდანვე აყალიბებს თავის პოზიციას, გვამცნობს მას დასაწყისშივე და შემდეგ არგუმენტებით ამყარებს მას. კვლევითი ნაშრომი კი ობიექტური სულისკვეთებით არის დაწერილი. მისი ავტორი მიუკერძოებელია და ცდილობს, ობიექტურად, მოპოვებული მტკიცებულებების მეშვეობით, გამოხატოს თავისი პოზიცია.

<p>არგუმენტირებული ნაშრომი</p> <p>კრემაციის შემოღების აუცილებლობა საქართველოში</p>	<p>პოზიცია</p> <p>მიკერძოებული</p>	<p>მიზანი</p> <p>დაარწმუნოს მკითხველი ავტორის პოზიციაში; საკუთარ აზრზე გადმოიყვანოს</p>
<p>კვლევითი ნაშრომი</p> <p>კრემაციის ლეგალიზება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები</p>	<p>ობიექტური</p>	<p>გააცნოს მკითხველს კვლევის შედეგები; შემატოს მას ცოდნა</p>

დასაბუთება ორივე სახის ნაშრომს სჭირდება. მტკიცებულებების გარეშე ავტორის მოსაზრებას ნაკლები ფასი აქვს. მას დამაჯერებლობა აკლია, თუმცა სხვაობა მტკიცებულებების მოყვანის ხერხშია: პოლემიკური ნაშრომის მიზანია, მოიყვანოთ თქვენი პოზიციის სასარგებლო მტკიცებულებები და უარყოთ თქვენი პოზიციის სუსტი მხარეები; კვლევით ნაშრომში კი მოვიპოვებთ რაც შეიძლება უფრო მყარ მტკიცებულებებს და ვაანალიზებთ მათ ისე, რომ საბოლოოდ ჩვენს თეზისზე ჩამოვყალიბდეთ. პოლემიკური ნაშრომის წერისას ავტორი ადვოკატია, რომელმაც იცის საკუთარი პოზიცია და ცდილობს, დაამტკიცოს იგი; კვლევითი ნაშრომის წერისას კი მოსამართლე, რომელიც მიუკერძოებლად

აკვირდება მტკიცებულებებს, დადებითს და უარყოფითს, რათა შეჯერდეს საბოლოო პოზიციაზე, რომელსაც ვერდიქტის, ანუ თეზისის, ჩამოყალიბებისას გამოაცხადებს.

დავალების მიღებისას დაინტერესდით, რა ტიპის ნაშრომს ითხოვენ თქვენგან – ნაშრომს, რომელშიც უნდა ამტკიცოთ გარკვეული მხარის სიმართლე, თუ ნაშრომს, რომელშიც, როგორც ობიექტური მოსამართლე, კვლევითი მეთოდების გამოყენებით ცდილობთ, დაადგინოთ, სიმართლე რა არის.

მაგალითად:

თუ თქვენმა უფროსმა სამსახურში გთხოვთ, სასწრაფოდ დაუწეროთ მას მოხსენება მარხუანის ლეგალიზაციის უარყოფითი მხარეების შესახებ, ეს დავალება პოლემიკური ნაშრომის შექმნას ეხება; ხოლო თუ თქვენი ხელმძღვანელი გთხოვთ, დაუწეროთ მემორანდუმი იმის შესახებ, თუ როგორია სამართლებრივი ტენდენციები მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზაციის თაობაზე საქართველოში, ეს თხოვნა კვლევითი ნაშრომის წარმოდგენას ითვალისწინებს, სადაც ობიექტურად, თქვენი პირადი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, აღწერთ ამ ტენდენციებს.

ეს სახელმძღვანელო, ძირითადად, ეხება კვლევით ნაშრომებს, თუმცა მასში გადმოცემული პრინციპები,

მაგალითად, როგორი უნდა იყოს შესავალი, წერის სტილი, თემიდან საკითხის დაკონკრეტება და ასე შემდეგ, აკადემიური წერისათვის უნივერსალურია, ზოგადად.

ა. ნაშრომის შესავალი

შესავალი არის ნაშრომის სავიზიტო ბარათი. შესავლის მიხედვით ადგენს მკითხველი, სურს თუ არა, დახარჯოს დრო, რათა წაიკითხოს მთლიანი ნაშრომი. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, შესავალი კარგად წარმოადგენდეს ნაშრომის შინაარსს და განაწყობდეს მკითხველს მთლიანი ნაშრომის წასაკითხად.

მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ შესავლის სრულად დაწერა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაასრულეთ კვლევაზე მუშაობა და როდესაც უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ ნაშრომის მთავარი თეზისი, ანუ გააზრებული გაქვთ ის წვლილი, რომელიც შეგაქვთ მეცნიერებაში. ამ ეტაპზე შეძლებთ შესავლის სრულად და საბოლოო ფორმით ჩამოყალიბებას. თუმცა აუცილებელია, სცადოთ შესავლის ნაწილის ჩამოყალიბება ნაშრომის წერილის პარალელურად და პერიოდულად განაახლოთ იგი, ვინაიდან ეს საშუალებას მოგცემთ, სცადოთ კვლევის შინაარსისა და მიზნის მოკლედ და გასაგებად დაწერა. თუ კვლევის მიზნის, თეზისისა და მნიშვნელობის მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბება გირთულდებათ, ეს შეიძლება იყოს მანიშნებელი

იმისა, რომ თქვენი კვლევის მიზანი და მნიშვნელობა ცხადი და გასაგები არ არის და ამ მხრივ ნააზრევისა და კვლევის დახვეწაა კიდევ საჭირო.

პირველ რიგში, დავფიქრდეთ შესავლის არსზე. შესავლის მიზანი არის, მკითხველს მისცეს საშუალება, დროის მოკლე მონაკვეთში გაეცნოს კვლევითი ნაშრომის არსს. შესავალი მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, გაიგოს, რას ეხება თქვენი კვლევა, რა ამბიციები გაქვთ, ანუ რა წვლილი შეგაქვთ მეცნიერებაში.

შესაბამისად, შესავალი ავტორმა უნდა გამოიყენოს როგორც საშუალება, წარმოაჩინოს კვლევის საუკეთესო მხარე და ის სიახლე, რომელსაც მკითხველს სთავაზობს. მეტაფორულად რომ ვთქვათ: როდესაც შორი პერსპექტივიდან ტყეს ვუყურებთ, ჩანს ხეთა ერთობლიობა ფართო თვალსაწიერიდან, ჩანს ტყის კონტურები, საზღვრები, შეფერილობა. სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს ნაშრომის შესავალი, რომელიც მკითხველს მყისიერად აცნობს კვლევას და შთაბეჭდილებას უტოვებს ნაშრომის შესახებ; ხოლო როდესაც ვინყებთ უკვე ნაშრომის კითხვას, ვეცნობით მის ძირითად ნაწილს, ყურადღებას ვაქცევთ სქოლიოებს, – ეს უკვე თავად ტყეში შესვლას ჰგავს. ჩვენი შეხედულება იცვლება, როდესაც უკვე ტყეში აღმოვჩნდებით და შევძლებთ თითოეული ხისათვის თვალის შევლებას.

შესავალს აქვს ჩამოყალიბებული სტრუქტურა. მკითხველსაც აქვს გარკვეული მოლოდინები ნაშრომის

შესავალთან მიმართებით. თუმცა შესავლის კონკრეტული კონტურები თავად ავტორის გადასაწყვეტია და დამოკიდებულია კვლევითი ნაშრომის ფორმაზე: ავტორი ამზადებს დისერტაციას, სამაგისტრო ნაშრომს თუ კვლევას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში. ამერიკულ და ევროპულ ინგლისურენოვან ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა გამოცემებში სამეცნიერო სტატია, ძირითადად, 10-12 ათასი სიტყვის ფარგლებშია, ხოლო შესავალი 2-3 ათასი სიტყვის ფარგლებში. კონკრეტული საზღვრების დადგენა, რა თქმა უნდა, ავტორისა და რედაქტორის ხელთაა, რომელთა შეხედულების მიხედვით შეიძლება შესავლის განვრცობა ან შემცირება.

შესავალი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან – იგი იწყება ქუდით. ქუდი არის შესავლის ზოგადი ნაწილი, რომელიც ზოგადად გადმოსცემს განსახილველი პრობლემის ან თემის არსს. ავტორი ქუდში ხსნის, თუ რა ტიპის პრობლემის, ფენომენის კვლევას ეთმობა თქვენი შრომა და რა ტიპის სამეცნიერო კამათში მონაწილეობს. ქუდი, შესაბამისად, შეიძლება პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- რა ფენომენს/პრობლემას ეძღვნება ჩემი კვლევა?
- როგორი სამეცნიერო კამათი არსებობს ამ ფენომენტთან დაკავშირებით?
- რამდენად დიდი/სერიოზულია ეს პრობლემა ან მოვლენა?

- რატომ არის ამ პრობლემის/ფენომენის შესწავლა მნიშვნელოვანი?

მაგალითად:

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტს დიდი ყურადღება ეთმობა როგორც საქართველოში, ისე მრავალ სხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი ინგლისში, საერთო სამართლის წიაღში წარმოიშვა, დღეს იგი სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს ბევრ, როგორც საერთო, ისე კონტინენტური სამართლის, ქვეყანაში მოქმედებს. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ახლახან მიიღეს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: იაპონია, სამხრეთ კორეა და ყირგიზეთი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებას დიდი ყურადღება ექცევა როგორც იურიდიულ წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში და ხდება მართლმსაჯულების აღსრულების ამ ფორმის ავკარგიანობისა და საქართველოში მისი მოქმედების წარმატებულობის განხილვა.“⁵

⁵ ა. დოლიძე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა, რედ. კ. კორკელია, თბ., 2013, 43.

„კანონშემოქმედებითი საქმიანობა პარლამენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. სწორედ ქვეყნის ძირითადი კანონით მინიჭებული ეს უფლებამოსილება განაპირობებს მის ცენტრალურ ადგილს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. კანონშემოქმედებითი საქმიანობა, როგორც პარლამენტის ძირითადი ფუნქცია, კიდევ უფრო დიდ დატვირთვას იძენს ორპალატიან პარლამენტში. ბიკამერალური პარლამენტის ერთ-ერთ დადებით მხარედ სწორედ დახვეწილ და შედარებით უფრო სრულყოფილ კანონშემოქმედებით საქმიანობას ასახელებენ, სადაც გათვალისწინებულია მაქსიმალურად ყველა პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური თუ სახელმწიფოში არსებული კიდევ სხვა ჯგუფის ინტერესები.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მედლის ამ დადებით მხარეს შესაძლებელია, თან ახლდეს მეორე მხარე, რომელიც მის უარყოფით მახასიათებლად განიხილება და ის დაკავშირებულია შედარებით უფრო ხანგრძლივ პროცედურებთან.

მიღების დღიდან საქართველოს კონსტიტუციაში არაერთი მცირე ხასიათის ცვლილება თუ ფართომასშტაბიანი რეფორმა იქნა განხორციელებული, თუმცა არცერთი მათგანი შეხება კონსტიტუციის მე-4 მუხლს, რომელიც საქართველოს პარლამენტის ბიკამერალური, ანუ ორპალატიანი, სისტემის დეკლარირებას ახდენს. სამწუხაროდ, დღემდე საქართველოში ვერ დადგა ამ მუხლით გათვალისწინებული „შესაბამისი პირობები“, რაც პარლამენტში ერთი პალატის ნაცვლად, ორი

პალატის – რესპუბლიკის საბჭოსა და სენატის – შექმნის საფუძველი გახდებოდა.“⁶

ქუდი შესავალში ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მკითხველს, რომელიც არ არის ექსპერტი განსახილველ საკითხში, მიეცეს საშუალება, ზოგადი წარმოდგენა შეექმნას იმაზე, თუ რატომ არის საჭირო ამ თემაზე კვლევის წარმოება.

ხშირად ქუდში მოჰყავთ ზოგადი მსჯელობა ამა თუ იმ პრობლემისა და საკითხის მნიშვნელობაზე. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ქუდში მოყვანილი წინადადებები დასაბუთებული იყოს შესაბამისი წყაროს მითითებით. ვინაიდან სწორედ ქუდიდან იწყება ნაშრომის ხარისხზე შთაბეჭდილების შექმნა, სასურველია, პირველივე სქოლიო შთამბეჭდავი იყოს და აჩვენებდეს ავტორის მიერ გამოკვლეული ლიტერატურის სიღრმეს.

მაგალითად:

„სამართლებრივი ურთიერთობები, წარმოშობილი ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ უკვალოდ არ ქრება.“ (ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000, 6.) „პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომლე-

⁶ ზ. მაჭარაძე, საკანონმდებლო პროცესი საზღვარგარეთის ქვეყნების ბიკამერალურ პარლამენტებში, სარჩევი, 1-2, თბ., 2012, 154.

ბიჯ მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან, მაგრამ იურიდიულად ქონებრივი უფლებები არ წყდება.“) (შენგელია რ., მემკვიდრეობის სამართალი, 2011, 9.) „უფლება-მოვალეობათა გადასვლას გარდაცვლილის მემკვიდრეებზე ეწოდება მემკვიდრეობა.“ (ჩიკვაშვილი შ., დასახ. ნაშრომი, 6.), ხოლო „მემკვიდრეობის სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არეგულირებს.“ (შენგელია რ., დასახ. ნაშრომი, 10.)⁷

ეს ტექსტი მემკვიდრეობის ჩამორთმევის საკითხზე სამეცნიერო სტატიის პირველივე აბზაცია. ამ მონაკვეთში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული ის სფერო, ვითარება ან პრობლემა, რომელსაც ავტორი სტატიაში ეხება. იგი ციტირებების ნაკრებია, სადაც არ ჩანს ავტორის აზრი, ავტორის აზრის მიმდინარეობა ზოგადი თემიდან იმ კონკრეტული საკითხისაკენ, რომელსაც ავტორი სტატიაში განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ციტატა ქუდის გახსნით წინადადებაში მისაღებია, როგორც საშუალება, რათა გავაცოცხლოთ შესავლის ქუდის შინაარსი, უფრო საინტერესო გავხადოთ ის, როდესაც მთელი აბზაცი სხვადასხვა ცი-

⁷ გ. აბღუშელიშვილი, მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, 6.

ტატის ნაერთია, ეს პირიქით, აბნევს მკითხველს ავტორის ნათელი და მკაფიო მოსაზრების ძებნაში.

შესავლის შემდეგი ნაწილია თეზისი. თეზისი არის კვლევის საფუძველთა საფუძველი და სწორედ ის ნაწილი, რითაც თქვენი კვლევა ამდიდრებს ცოდნას. თეზისი არის მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბებული წინადადება ან აბზაცი თქვენი კვლევის მთავარი მიღწევისა და არგუმენტის შესახებ. წარმოიდგინეთ, რომ ლიფტში მოხვდით კოლეგასთან ერთად, რომელმაც გკითხათ, თუ რას ეხება თქვენი კვლევა. სწორედ კარგად გამართული თეზისი მოგეხმარებათ იმაში, რომ ძალიან მოკლე დროის განმავლობაში ახსნათ, რას მოიცავს თქვენი კვლევის წვლილი.

მაშასადამე, თეზისი უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- ნაშრომის შედეგად რას აღმოვაჩინ ისეთს, რაც არ ვიცოდით?
- რაიმე ახალი ტიპის ინტერპრეტაცია ხომ არ შემოგვთავაზე, რითაც ახლებურად გავიგებთ რაიმე ფენომენს?
- როგორ შეცვლის თქვენი ნაშრომი სამეცნიერო კამათს?
- რაიმე არასწორ გაგებას ხომ არ მოჰფინეთ ნათელი?
- რატომ არის თქვენი თეზისი მნიშვნელოვანი?
- რას შეცვლის ის ჩვენს ქმედებაში ან აზროვნებაში?

- აზროვნების რაიმე ახალი ინსტრუმენტები ან მიდგომა ხომ არ მოგიფიქრებიათ?

გთავაზობთ მაგალითს, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს:

წინამდებარე ნაშრომში შევეცდები, წარმოვაჩინო მემკვიდრეობის არსი, მისი ჩამორთმევის საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები მემკვიდრეობაჩამორთმეული პირის მიმართ; ასევე ყურადღებას გავამახვილებ იმ ბუნდოვან ნორმებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლებიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხებს და მკითხველს მათი მონესრიგების გზას შევთავაზებ.⁸

შესავლის ეს ადგილი სწორედ თეზისია, თუმცა ის მხოლოდ ნაწილობრივ არის დამაკმაყოფილებელი. ამ სახით ის წარმოადგენს მხოლოდ იმას, თუ რას აპირებს ავტორი და არ გვიჩვენებს ნაშრომის ძირითად მიღწევას: კონკრეტულ პრობლემატიკას მემკვიდრეობის ბუნდოვანებაში და მისი გადაწყვეტის გზებს. შესაბამისად, მკითხველს მოუწევს მთელი ნაშრომის ნაკითხვა, რათა გაარკვიოს, კონკრეტულად რა პრობლემატიკას შეეხო ავტორი და მისი გადაჭრის როგორი გზები შემოგვთავაზა. უფრო დახვეწილი თეზისი ნაშრომის ამ წვლილს თავიდანვე მოკლედ წარმოაჩენდა. მემკვიდრეობის არსი და მისი ჩამორთმევის საფუძვლები, ის სა-

⁸ სქოლიო *supra* 7, 6.

კითხები, რასაც სტატია ნაწილობრივ შეეხება და თეზისშიც ახსენებს, უკვე ძალიან კარგად და ბევრჯერ გამოკვლეული საკითხებია. შესაბამისად, ამ სფეროში ავტორს შეუძლია, მხოლოდ ენციკლოპედიური მიმოხილვა გააკეთოს ძირითადი ნაწილის დასაწყისში, რაც ვერ იქნება ამ სამეცნიერო სტატიის მთავარი ნვლილი და შენატანი. თეზისში კი ავტორმა სწორედ იმ მხარეებს უნდა გაუსვას ხაზი, რაც საკუთარია, რაც მისი ინტელექტუალური შრომის შედეგი და მიღწევაა.

მაგალითად:

„წინამდებარე სტატიის მიზანია, გააანალიზოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი იმ სახით, როგორც ის დღეს მოქმედებს საქართველოში. სტატია მკითხველს სთავაზობს მსჯელობას ამ ინსტიტუტის შესაბამისობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ამ მხრივ სტატიაში ყურადღება გამახვილდება მსაჯულთა ინსტიტუტის ერთ ასპექტზე, როგორცაა მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთებულობა, ვინაიდან სწორედ ეს გახდა ევროპული სასამართლოსათვის განხილვის საგანი. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა ინსტიტუტი დამკვიდრებულია ევროპის საბჭოს მრავალ ქვეყანაში, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა ადასტურებს, რომ შეიძლება ამ პროცესის ზოგიერთი ასპექტი შეუსაბამობაში იყოს ადამიანის უფლებათა ევრო-

პული კონვენციით უზრუნვეყოფილ სამართლიან სასამართლო განხილვის უფლებასთან.⁹

საქართველოს პრეზიდენტის სტატუსისა და შესაბამისი უფლებამოსილებების განმსაზღვრელი ნორმების კიდევ ერთხელ შეცვლასთან ერთად, უკვე დაისვა მისი არჩევის წესის შეცვლის საკითხიც. საზოგადოდ, მმართველობის სისტემასა და პრეზიდენტის არჩევის წესს შორის კავშირი არსებითია. ამასთან დაკავშირებით, ორი ძირითადი თვალთახედვაა გამოკვეთილი: პირველი, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა და, შესაბამისად, მმართველობის სისტემის საზომად განიხილება მისი არჩევის წესი; მეორე, არჩევის წესი განისაზღვრება მმართველობის სისტემაში მისი როლისა და უფლებამოსილებების პროპორციულად. ვფიქრობთ, პრეზიდენტის არჩევის წესი, ნამდვილად, მისსავე უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით პროპორციულად და შესატყვისად უნდა იქნეს განხილული, რადგანაც ვთვლით, რომ არჩევის წესი ზუსტად უფლებამოსილებათა განაწილებით მიღებული მმართველობის სისტემიდან წარმოქმნილი ნიშანია და არა თავად განმსაზღვრელი.¹⁰

შესავლის შემდეგი ნაწილია მეთოდი. მეთოდი არის სამეცნიერო კვლევის ის საშუალება (ან საშუალე-

⁹ სქოლიო *supra* 5, 46.

¹⁰ ზ. ჯიბლაშვილი, *მოსაზრებები პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით*, სტატია ინახება ავტორთან, 2017, 1.

ბანი), რითაც მიდიხართ კვლევის შედეგებამდე. მეტა-ფორულად რომ ვთქვათ, მეთოდი არის ის გზა, რომლითაც მიდიხართ დანიშნულების ადგილამდე. თუ სწორად არ აირჩიეთ გზა, დანიშნულების ადგილამდე ვერ მოახერხებთ მისვლას. უმაღლეს სასწავლებლებში ცალკე ისწავლება სამეცნიერო კვლევის მეთოდები და, შესაბამისად, დიდი დროს არ დავხარჯავ აქ მეთოდის რაობის ახსნაზე. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შესავალში კარგად იყოს ახსნილი თქვენ მიერ არჩეული მეთოდი. მაგალითად, თუ ემპირიულ კვლევას აკეთებთ, მნიშვნელოვანია, მკითხველს აუხსნათ, რატომ აარჩიეთ შესასწავლი ერთეულების რაოდენობა, როგორ შეარჩიეთ გამოსაკითხი პირები ინტერვიუებისათვის და ა.შ. მიუთითეთ, რა ტიპის წყაროებს ეყრდნობით და რა საშუალებებით მოიძიეთ ეს წყაროები. კვლევის მეთოდმა უნდა გაუძლოს ყველაზე მწვავე კრიტიკას, რათა მკითხველს თქვენი კვლევის შედეგების ნამდვილობაში ეჭვი არ შეეპაროს.

წარმოვიდგინოთ, რომ მეთოდი არის ის გზა, რომელიც გაიარეთ დასახული შედეგის მისაღწევად. ზოგიერთისათვის ეს გზა არცთუ ისე დამღლეელი და რთული იქნება. შეიძლება, თქვენი ნაშრომისათვის მხოლოდ ინტერნეტში არსებული წყაროები გამოიყენოთ. ამ შემთხვევაში, მკითხველისათვის ასახსნელი ბევრი არაფერია. თუმცა შესაძლებელია, რომ ბევრად მეტი გააკეთოთ იმისათვის, რათა ნაშრომი მართლაც ორიგინალუ-

რი და განსხვავებული იყოს: კვლევები არქივში დაცულ მასალებში, ინტერვიუები მოსამართლეებთან ან, თუნდაც, მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაციის სისტემური დამუშავება. თუ თქვენ მიერ განვლილი გზა იმსახურებს ყურადღებას და საინტერესო შეიძლება იყოს მკითხველისათვის, მაშინ ღირს მისი აღწერა მეთოდის განყოფილებაში.

გვახსოვდეს, რომ ახსნა იმისა, თუ როგორ ვაკეთებთ მტკიცებულებათა ანალიზს, თავსდება მეთოდის განყოფილებაში. მეთოდის განყოფილებაში ვუხსნით მკითხველს, რა საშუალებებით ვაანალიზებთ მტკიცებულებებს, რა მტკიცებულებებს ვეყრდნობით და რატომ.

მეთოდის ახსნას შეიძლება მიეძღვნას მთელი თავი იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ მიერ შერჩეული მეთოდი რთულია, ან მრავალ საფეხურს მოიცავს. მაშასადამე, მეთოდის ახსნას ვრცელი ადგილი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომსა თუ დისერტაციაში. მეთოდის აღნიშვნა მით უფრო ღირს, რაც უფრო ახალი და ორიგინალურია ის, ან რაც უფრო მეტი შრომა ჩაიდო მეთოდის მიხედვით კვლევაში. მაგალითად, თუ გარდამავალი მართლმსაჯულების კვლევისათვის დაგჭირდათ მოსამართლეთა შერჩევა, ინტერვიუება, ინტერვიუების შედეგების დამუშავება – ამ მეთოდის შესახებ აუცილებლად უნდა ითქვას კვლევაში, ვინაიდან სირთულისა და შრომატევადობის გამო იგი განსაკუთრებულად აღნიშვნის

ღირსი ნამდვილად არის, ხოლო უფრო მცირე ზომის ნაშრომში, ნარკვევში, ესეში ან სამეცნიერო სტატიაში მისი ხსენება მოკლედ შესავალშივე შეიძლება.

თქვენი კვლევის მიზანია, არა მხოლოდ ნათელი მოჭფინოს ერთ კონკრეტულ პრობლემას ან ფენომენს, არამედ გზა გაუხსნას მომავალ კვლევებს მომიჯნავე თემებზე. ყველაზე წარმატებული მეცნიერები არიან ისინი, რომლებმაც არა მხოლოდ მნიშვნელოვანი სამეცნიერო წვლილი შეიტანეს რაიმე საკითხში, არამედ საფუძველი დაუდეს სამეცნიერო სკოლებს და გაურინდათ მიმდევრები, რომლებიც აგრძელებენ მომიჯნავე საკითხებზე მუშაობას. როდესაც კვლევის მომავალ შესაძლებლობებზე ვსაუბრობთ, საუბარი მაქვს სწორედ იმ კვლევებზე, რომლებიც თქვენ მიერ შემოთავაზებული ცოდნის შემდეგ შეიქმნება.

შესაბამისად, შესავლის ბოლოში მნიშვნელოვანია საუბარი იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც თქვენმა კვლევამ შექმნა. გვახსოვდეს, კვლევის მიზანი არ არის, დაამტკიცოთ, რომ თქვენ მართალი ხართ. კვლევა არ არის სარჩელი, სადაც აუდიტორიას თქვენი პოზიციის სიმართლე უნდა აუხსნათ. კვლევის მიზანია, უფრო მეტი ადამიანისთვის გახადოთ ხელმისაწვდომი ცოდნა გარკვეული საკითხის შესახებ. შესაბამისად, ამ განყოფილებაში, რომელსაც პირობითად „მომავლის პერსპექტივებს“ ვუნოდებ, მნიშვნელოვანია, შემდეგ კითხვებს გაეცეს პასუხი:

- რა საკითხი რჩება დაუდგენელი და აუხსნელი თქვენთვის?
- კვლევის რომელი ახალი შესაძლებლობები შეიქმნა თქვენი ნაშრომის შედეგად?
- მომავალმა მკვლევრებმა, თქვენი კვლევიდან გამომდინარე, რომელი საკითხები შეიძლება აიტაცონ და განავითარონ?

საუკეთესო ნაშრომს ჩვეულებრივი ნაშრომისაგან გამოვარჩევთ აზროვნების კიდევ უფრო მაღალი დონით, რომელიც გამოიხატება საკუთარი ნაშრომის სუსტი მხარის დანახვითა და კრიტიკის პრევენციით. როდესაც ავტორი თავად ცნობს და ამჟღავნებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ავტორის ასეთი მიდგომა აჩვენებს, რომ მას გააზრებული აქვს ის საკითხები, რომლებიც მომავალმა მკვლევრებმა შეიძლება წარმოაჩინონ მისი კვლევიდან. ასეთი მიდგომა ასევე განაიარაღებს კრიტიკოსებს, რომელთა შესაძლო კრიტიკას ავტორი თავადვე გამოხატავს და პასუხობს. შესაბამისად, ამ ეტაპზე ნაშრომი უნდა პასუხობდეს კითხვებს:

- როგორ შეიძლება გიპასუხონ მათ, ვის მოსაზრებასაც თქვენ არ დაეთანხმეთ და ვის პოზიციასაც თქვენი ნაშრომით გადაუხვიეთ?
- და როგორ უპასუხებთ ამ შესაძლო კრიტიკას?

მაგალითად:

„საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, განსაკუთრებით კი მოსამართლის განმარტებებთან დაკავშირებულ ნორმებზე დაყრდნობით, საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა ზოგადად შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს გადანყვეტილების დასაბუთებულობის შესახებ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ საკითხთა შორისაა მოსამართლეთა ინსტრუქციების შინაარსი და მსაჯულთათვის საპროცესო შეთანხმების გამჟღავნების მოთხოვნა. ვინაიდან დღეისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით წარმართული პროცესების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია, ცხადია, რომ ამ მხრივ პრაქტიკის განვითარება საინტერესო საფუძველს შექმნის ამ თემაზე დისკუსიის გაგრძელებისათვის.“¹¹

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია, ბევრი რამ, რისი თქმაც შესავალში გვსურდა, ადგილის სიმცირის გამო ვერ შევძლოთ. ეს განსაკუთრებით ეხება კვლევის მნიშვნელობის ახსნას. შესაბამისად, შესაძლებელია, ეს საკითხები შემოვინახოთ დასკვნისათვის, სადაც კვლევის წვლილს კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველს. ამავე დროს, შეიძლება დასავლეთში დამკვიდრებული ხერხის გამოყენება, როდესაც ავტორი

¹¹ სქოლიო *supra* 5, 47.

ტექსტივე მიუთითებს, რომ დრო და სივრცე არ იძლევა საშუალებას, ან კიდევ, კვლევის დანიშნულების ფარგლებს სცდება გარკვეული საკითხის გამოკვლევა. ასეთი მითითების დროს შესაძლებელია ამ საკითხის მხოლოდ ერთი წინადადებით აღნიშვნა, რათა სხვა მომავალ მკვლევართ მიეცეთ მომავალში ამ საკითხების განვითარების საშუალება.

კვლევის შესავალი ნაწილი მთავრდება გზამკვლევით. გზამკვლევის დანიშნულებაა, წინასწარ მოამზადოს მკითხველი კვლევის შინაარსისათვის და საშუალება მისცეს, თავად აირჩიოს, კვლევის რა ნაწილზე გაამახვილებს ყურადღებას. გზამკვლევს რუკის დანიშნულება აქვს. ის მკითხველს წინასწარ აჩვენებს, კვლევის რომელი ნაწილი აქვს დათმობილი გარკვეულ საკითხს. გზამკვლევი აჯამებს თითოეული თავის ან განყოფილების შინაარსს.

მაგალითად:

„სტატიის მეორე თავში გაანალიზებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რათა მკითხველისათვის ნათელი მოეფინოს იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვა და გავრცელდა ეს ინსტიტუტი. ამავე თავში მოცემულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში პირველად შემოღების მოკლე ისტორია და ის სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი წინამძღვრები, რომლებმაც ამ ინსტიტუტის საქართველოში შემოღებას შეუწყო ხელი.

სტატიის მესამე თავში გადმოცემულია მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მეორე მცდელობა, რომელიც 2004 წელს განხორციელდა. აქვე მითითებულია ის თავისებურებები, რომლებიც ამ ინსტიტუტს საქართველოში ახასიათებს.

მეოთხე თავი ეთმობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულებას, აღწერილია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ ინსტიტუტის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

მეხუთე თავში ასახულია ანალიზი საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შესახებ. ბოლოს, გაკეთებულია რამდენიმე დასკვნა და გამოთქმულია რეკომენდაციები.¹²

ბ. ძირითადი ნაწილის სტრუქტურა

ეს ქვეთავი ეხება კვლევითი ნაშრომის ძირითადი ნაწილის სტრუქტურას. ძირითადი ნაწილი არის ნაშრომის ხერხემალი. ის მოიცავს ნაშრომის წვლილს მეცნიერებაში. ძირითად ნაწილს აქვს თავისი სტრუქტურა. მკაფიო სტრუქტურა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ძირითადი ნაწილი მოიცავს დიდი რაოდენობით ინფორმაციას. თუ ინფორმაცია არ იქნება ცხადად, თანმიმდევრობით

¹² სქოლიო *supra* 5, 49.

დალაგებული, მკითხველს გაუჭირდება მისი აღქმა. შესაბამისად, ამ ინფორმაციის დახარისხება და კარგად ორგანიზება აუცილებელია. აქ მოყვანილი ძირითადი ნაწილის სხვადასხვა საკითხი ტრადიციულად ახასიათებს კვლევით ნაშრომებს, იქნება ეს ესე, სამაგისტრო ნაშრომი თუ დისერტაცია.

1. საკითხის ისტორია/ცნებები/კონტექსტი

ძირითადი ნაწილი იწყება საკითხის ისტორიისა და კონტექსტის მიმოხილვით. ის შეიძლება, დაეთმოს პრობლემის დახასიათებასაც. მნიშვნელოვანია, კვლევის საკითხისა და ჩვენი წვლილის დაწვრილებით ახსნამდე მკითხველს მივანოდოთ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია და კონტექსტი. ამ ეტაპზე უნდა დავსვათ კითხვები:

- რა უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ სათანადოდ გაიგოს ჩემი კვლევის მნიშვნელობა და შედეგი?
- რა ინფორმაცია უნდა მივანოდო მკითხველს, რომ შესაბამისად შეაფასოს ჩემი კვლევის მიღწევები?
- ამ ძირითადი ნაწილის კითხვისას რა ცოდნა უნდა ჰქონდეს მკითხველს, რათა გაერკვეს თქვენი საკითხის მნიშვნელობაში და თქვენი მტკიცებულებების შედეგად ახალს რას მიაგენით?

მაგალითად:

მართლმსაჯულების განხორციელებაში მსაჯულთა მონაწილეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ინგლისში წარმოიშვა. როგორც ინგლისური სამართლის ცნობილი მკვლევარი სერ უილიამ ბლეესტოუნი აცხადებდა, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინგლისური სამართლის მშვენიება“ და „ის არის ძლიერი წყალგამყოფი მეფის ძალაუფლებასა და ხალხის თავისუფლებას შორის.“

ინგლისური სამართლის ამ ინსტიტუტის გავრცელებას სხვა ქვეყნებში მეცნიერები სხვადასხვა მიზეზითა და მოვლენით ხსნიან. მრავალ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება დიდი ბრიტანეთის იმპერიის გავლენით იყო განპირობებული. ბრიტანეთის იმპერიის გავლენით იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მიღებული იმპერიის კოლონიებში. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ვირჯინიის შტატში (1606 წ.), მასაჩუსეტსში (1628 წ.), ნიუ-იორკის შტატში (1664 წ.) პირველი შემთხვევები იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვისა ბრიტანეთის კოლონიების ტერიტორიებზე. ზოგ შემთხვევაში, მაგალითად ინდოეთსა და პაკისტანში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე იქნა გაუქმებული.

სხვა ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიღება განპირობებული იყო საფრანგეთსა და ფრანგული სამართლის სისტემასთან დამოკიდებულებით. მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლოს წარმართვა ბევ-

რგან მიღებულ იქნა ფრანგული სამართლებრივი სისტემის სხვა ელემენტების გადმოღებასთან ერთად.

ბევრ ქვეყანაში კი, ასე მოხდა, მაგალითად, რუსეთსა და ესპანეთში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოღებულ იქნა მეოცე საუკუნის დასასრულს, ახალი ხელისუფლების დემოკრატიული მისწრაფებების კვალდაკვალ.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საინტერესო ისტორია აქვს. იგი შეიძლება ორ ძირითად ეტაპად დაიყოს: 1. ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს 1917-1921 წლებში; და 2. ამ ინსტიტუტის შემოღება 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ხალხის მონაწილეობა საქართველოში ოდითგანვე შეინიშნებოდა. მაგალითად, მოსახლეობის მონაწილეობაზე მართლმსაჯულებაში მიუთითებენ მკვლევრები აჭარაში, იმ პერიოდში, როდესაც აჭარა ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მართლმსაჯულებას განახორციელებდა „ყადი“ – იმპერიის მიერ დანიშნული მოსამართლე, რომელიც, ამავე დროს, ხელმძღვანელობდა ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ფორმალური ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობა დაბალი იყო. წყაროები მიუთითებენ, რომ სამართალს ახორციელებდა „ოლქაში“ გაერთიანებული

მოსახლეობა, რომელიც იხილავდა საქმეებს და გამოსცემდა გადაწყვეტილებებს.

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ნახსენები იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, იყო 1917 წლის 21 სექტემბრის დებულება „სასამართლო დანესებულების შესახებ.“

მიუხედავად ამისა, ყველა ეს ნორმა განხორციელდა, როდესაც 1919 წლის 17 იანვარს პარლამენტმა მიიღო ლაკონიური კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.“ იგი იუსტიციის სამინისტროს აკისრებს ვალდებულებას, შეადგინოს ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სია. სამინისტროს ეს საქმიანობა 1919 წლის 1 ივნისისათვის უნდა დაესრულებინა. სასამართლო რეფორმის განსაკუთრებული ეტაპი იყო 1919 წლის ივლისში სენატის დაარსება. სენატის უფლებამოსილება იყო კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობა. რამდენიმე სასამართლო პროცესიც კი წარიმართა ახალი კანონმდებლობის მიხედვით.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი დაიკავა მე-11 წითელმა არმიამ, რომელმაც დაასრულა სამწლიანი მენშევიკური ხელისუფლება. არმიამ გააუქმა კონსტიტუცია და დამოუკიდებელი საქართველოს სამართლებრივი სისტემის ბევრ სხვა მახასიათებელთან ერთად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც ისტორიას ჩაბარდა.¹³

¹³ სქოლიო *supra* 5, 50.

1. საკანონმდებლო პროცესის საფუძვლები ბიკამერალურ პარლამენტში

ბიკამერალურ პარლამენტში, ისევე როგორც მონოკამერალურ წარმომადგენლობით ორგანოში, საკანონმდებლო საქმიანობის წარმოება უმთავრესი ფუნქციაა. ორპალატიანი პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფების ჩართულობის გაზრდა და მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებაა, რაც ამ პროცესის შედეგიანობის ხარისხს ზრდის.

მედისონი, ახასიათებდა რა აშშ-ის კონგრესის ბიკამერალურ ორგანიზაციას, ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საკანონმდებლო კრებები უმეტეს შემთხვევაში მიდრეკილნი არიან, სხვადასხვა საპარლამენტო ფრაქციის მიერ პროვოცირებული ნაჩქარევი და არაზომიერი, ემოციური გადანყვეტილებები მიიღონ, სხვა სიტყვებით, ბიკამერალიზმი ემსახურება ამომრჩეველს, თავი დაიცვას საკუთარი შეცდომებისგან, ხელს უშლის საკანონმდებლო ორგანოს, გადაიქცეს „ბრბოს მოსამსახურედ.“

ხშირად კანონები, რომლებიც ერთპალატიან პარლამენტში მკვეთრი პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მიიღება, არის იძულებითი კომპრომისების შედეგი. დეპუტატთა ხმების საჭირო რაოდენობის მისაღებად კანონპროექტი პირველი მოსმენიდან კანონის

გამოქვეყნებამდე განიცდის უამრავ შესწორებას, ამასთან, ხშირად ეს ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სპონტანური მოთხოვნილებების ინტერესებში. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დოკუმენტის ლოგიკურ ან იურიდიულ მხარეზე საუბარი ზედმეტია. ასეთ ფონზე გასაკვირიც არაა, რომ ეს კანონები ჯერ კიდევ კანონიერ ძალაში შესვლამდე საჭიროებენ ცვლილებებს. ამ მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, დადებითი როლი შეიძლება შეასრულოს ზედა პალატამ. იქიდან გამომდინარე, რომ მისი ნევრობა უფრო მკაცრი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მოითხოვს, აქ ხდება განსაკუთრებული ცოდნის, პოლიტიკური და პროფესიული გამოცდილების თავმოყრა, შეჯერება. გარდა ამისა, ზედა პალატა არ არის იმდენად დატვირთული პოლიტიკური მუხტით და, შესაბამისად, უნარიანია, უფრო ღრმად, საფუძვლიანად და ობიექტურად განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები. ე.წ. „მსჯელობისა და ანალიზის“ პალატა უზრუნველყოფს კანონპროექტის დეტალურ, ზედმინევენით დამუშავებას, რაც აუმჯობესებს მის ხარისხს. ზედა პალატა ასწორებს ქვედა პალატის შეცდომებს, დაჩქარებულ, გაუაზრებელ, ემოციურ გადაწყვეტილებებს.

„როგორც წესი, ქვედა პალატა უფრო ადეკვატურად ასახავს ამომრჩეველთა განწყობას, ხოლო გამოყენებული საარჩევნო სისტემისა თუ უფლებამოსილების ქვედა პალატასთან შედარებით მეტი ვადის გამო, პარლამენტის

ზედა პალატა პრაქტიკულად უფრო კონსერვატიულია ხოლმე. შესაბამისად, დაბალანსებული და აუჩქარებელი, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად ზედა პალატა ქვედა პალატის ერთგვარ შემაკავებელ ფუნქციას ასრულებს. ბიკამერალიზმის პირობებში თავად საკანონმდებლო ხელისუფლების შტოს შიგნით ინსტიტუციურად იქმნება შეკავებისა და განონასწორების ეფექტური სისტემა, რაც ამცირებს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისას ნაჩქარევი, დაუბალანსებელი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პალატათა შორის დავასა და დისკუსიაში უფრო სავარაუდოა, რომ დაიბადოს პოლიტიკური ჭეშმარიტება.“

შესაბამისად, იკვეთება ბიკამერალური პარლამენტის ზედა პალატის ძირითადი, დამაბალანსებელი ფუნქცია, რაც მას წარმოადგენს როგორც *Chambre de reflexion* (ანალიზის პალატას), ან მეტიც, *refroidissement* (გამანეიტრალებელს) ფუნქციის განმახორციელებლად ქვედა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციაში ორპალატიანი პარლამენტის შენარჩუნება, შეიძლება ითქვას, გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, 1795 წლის კონსტიტუციაში სენატისათვის დამაბალანსებელი ფუნქციის და, მეორე მხრივ, 1875 წლის კონსტიტუციაშიც მისთვის იმავე ფუნქციის მინიჭების გარემოებით. მსგავსი სურვილი ნათლად დააფიქსირა დე გოლმა 1946

წლის 16 ივნისს ბიოქსში წარმოთქმულ სიტყვაში: „კანონისა და ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი გადაეგზავნება განსახილველად საყოველთაო და პირდაპირი წესით არჩეულ ასამბლეას, რომლის მთავარ მოვალეობას არ წარმოადგენს, აუცილებლად ნათელი მოჰფინოს და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. მან უნდა შეიმუშაოს ის შენიშვნები, რომლებიც გადაეგზავნება მეორე პალატას, რომელიც, თავის მხრივ, სხვა წესის საფუძველზე იქნება არჩეული და დაკომპლექტებული, და რომელმაც უნდა გაითვალისწინოს პირველი ასამბლეის ყველა შენიშვნა.“

მართალია, მრავალგზის გააზრებული და განხილული კანონის მიღება მისი სრულყოფილების ხარისხს ზრდის, თუმცა იმავე პროპორციით ზრდის ტემპს, რომელიც საჭიროა ამ კანონპროექტის მისაღებად. „სკანდინავიის ქვეყნებში პარლამენტის ზედა პალატების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, ძირითადად, ზუსტად იმით ასაბუთებდნენ, რომ მათი არსებობა საკანონმდებლო პროცესს ხდის ძალზე რთულს და დროში განელილს.“

ამ უკანასკნელი გარემოების მიუხედავად, რაც შეიძლება, ერთგვარ გამონაკლის შემთხვევადაც განვიხილოთ, გვხვდება, აგრეთვე, ერთი მხრივ, საპირისპირო ტენდენცია და, მეორე მხრივ კი, კონკრეტულ სახელმწიფოებში ბიკამერალიზმის სპეციფიკის არსის ცვლილება. აღნიშნულის თანახმად, ბიკამერალურ საპარლამენტო სისტემებში შედარებით უფრო მისაღებ მო-

დელს, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო იყენებს, წარმოადგენს ორპალატიანი პარლამენტი სუსტი ზედა პალატით, სადაც ქვედა პალატას იმავე საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელებისას დომინირებული მდგომარეობა უკავია. ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საკანონმდებლო პროცესის დროში მეტი სიმეტრად განვლვის თავიდან აცილებაა.“¹⁴

ამ ნაწილში შეიძლება გადმოვიცეს საკითხის ისტორია, პრობლემის ახსნა, საკითხის კონტექსტი, ანუ ის კულტურული, ეკონომიკური, სოციალური თუ ისტორიული პირობები, სადაც ეს საკითხი წარმოიშვა ან არსებობს. ეს ნაწილი ეხმარება მკითხველს, კარგად გაიგოს მკვლევრის წინაშე მდგარი საკითხის თავისებურებები. მაგალითად, თუ მკვლევარი იკვლევს დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ მსტოვრების ინსტიტუტს, მაშინ ძირითადი ნაწილი შეიძლება გაიხსნას დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ეპოქის დახასიათებით, აღმაშენებლის წინაშე მდგარი გამოწვევების აღწერით.

პირველი ნაწილი, რომლითაც შეიძლება დავინწყოდ ძირითადი ნაწილი, არის ან საკითხის ისტორია, ან კონტექსტი, ან/და ცნებების განმარტება, ან ყველაფერი ერთად. მაგალითად, შეიძლება ამ განყოფილებაში გადმოვიცეთ საკითხის ისტორია. ვთქვათ, თუკი თქვენ რომელიმე საკანონმდებლო ნორმის ინტერპრეტაციაზე

¹⁴ სქოლიო *supra* 6, 157.

წერთ, აუცილებლად დაგჭირდებათ ახსნა იმისა, თუ ვინ მიიღო ეს ნორმა, როდის მიიღო, რა პოლიტიკურ-ისტორიულ კონტექსტში იქნა ეს ნორმა მიღებული და ა.შ. თუ თქვენ იყენებთ რაიმე ცნებებს, აუცილებლად დაგჭირდებათ გამოყენებულ ცნებათა განმარტებები.

აქვე შეიძლება გადმოიცეს საკითხის კონტექსტი. კონტექსტი – ეს არის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ვითარება, რომლის ფარგლებშიც უნდა გაანალიზოს მკითხველმა თქვენ მიერ შემოთავაზებული საკითხი. როდესაც მკითხველი გაეცნობა კონტექსტს, მას ეცოდინება, თუ როგორ რეალობაში ახდენს ავტორი კვლევას. კონტექსტი არის ფართო ცნება და პრობლემის წარმოშობის ისტორიასაც მოიცავს. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენი კვლევა და კვლევის შედეგები აბსტრაქტულად არ იხილება – ის გაანალიზდება კონკრეტულ რეალობასთან მიმართებით. კონტექსტი არის ერთგვარი ფონი, რომელიც თქვენ მიერ შემოთავაზებული საკითხის გარშემო არის. მაგალითად, თქვენ წერთ კვლევას საქართველოში ორგანოებით ვაჭრობის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ. ამ საკითხის კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე, სიღარიბის დონე, ასევე ორგანოთა გადახერგვის რიგში მყოფ პაციენტთა რაოდენობა. საკითხის გარემოპირობების ასეთი აღწერა მკითხველს მისცემს საშუალებას, უკეთ გაიაზროს ორგანოთა ვაჭრობის დაშვების მიზანშეწონილობა.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში გვიყალიბდება ჩვენ წარმოდგენა იმ კითხვებზე, რომელთაც უნდა გავცეთ პასუხი. სტუდენტებს ხშირად აქვთ წერილსათვის საინტერესო საკითხის პოვნის პრობლემა. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დასაწყისში ხდება გამომუშავება უნარ-ჩვევისა, აღმოაჩინო კვლევისათვის საინტერესო საკითხი, რომელიც, ამავე დროს, მეცნიერულად ამონაზომი არ არის და ტოვებს საშუალებას, ავტორმა მასზე რაიმე საინტერესო თქვას. სწორედ ამ ჩვევის გამომუშავებაში გვეხმარება ლიტერატურის მიმოხილვა.

ამ ეტაპისთვის აუცილებელია, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ნაშრომის თემა და საკითხი. ნაშრომის თემა არის ზოგადი სფერო, რომელიც ავტორს აინტერესებს. თემა ავტორისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზეზის გამო და ამ თემის ფარგლებში ავტორს შეუძლია, ენთუზიაზმით განაგრძოს წერა. ხოლო ნაშრომის საკითხი არის ის კონკრეტული, შედარებით ვიწრო კითხვა, რომელიც ავტორმა შეარჩია თემის ფარგლებში და რომელსაც მან ნაშრომის მეშვეობით უნდა გასცეს პასუხი. მაგალითად, ნაშრომის თემა შეიძლება იყოს „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში,“ ნაშრომის საკითხი კი „ანგლოსაქსური სამართლის გავლენა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე სა-

ქართველოში 2004–2012 წლებში.“ შესაბამისად, სწორედ რომ თემიდან ხდება შედარებით კონკრეტული, ვინრო საკითხის შერჩევა, რომელსაც ავტორი თავისი შრომის მეშვეობით ავითარებს.

თემიდან საკითხის დაკონკრეტების პროცესს დავინროებას ვეძახით. საკურსოზე, რეფერატზე, საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას დარწმუნდით, რომ საკითხი საკმარისად ვინროა. აქ ორი ტიპის საფრთხეს ვაწყდებით: თუ საკითხი ზედმეტად ფართო იქნება, მაშინ ჩვენ ვერ შევძლებთ მნიშვნელოვანი ნვლილის შეტანას ჩვენი კვლევით, ვინაიდან საკითხის ყველა ძირითად ასპექტს ვერ მოვიცავთ და ნაშრომიც უფრო ზოგადი, მიმოხილვითი და ენციკლოპედიური ხასიათის გამოვა; მეორე მხრივ, თუ საკითხი ზედმეტად დავავინროვეთ, შეიძლება, ქართულ ენაზე შესაბამისი ლიტერატურისა და კვლევითი მასალის მოძიება გაგვიჭირდეს, ან საკითხმა მნიშვნელობა დაკარგოს.

მაგალითად:

„მსჯავრდებულთა უფლებები საქართველოში“ – ეს საკითხი ზედმეტად ფართოა, უფრო ზოგადი სფეროა, რომლის სრულფასოვნად გამოკვლევას მთელი ენციკლოპედიური ნაშრომი დასჭირდება; ამავე დროს, „უვადო პატიმრობაში მყოფ პენსიონერ ქალთა უფლებები“ ზედმეტად ვინროა, ვინაიდან ამ საკითხზე შეიძლება, საკანონმდებლო ნორმებისა და ემპირიული მასალის

*მოპოვება გაჭირდეს. ამიტომ ავირჩიოთ ოქროს შუალე-
დი და ნაშრომი შეგვიძლია, მაგალითად, უვადო პატიმ-
რების რომელიმე უფლებაზე დავწეროთ.*

შესაბამისად, ზედმეტად ზოგად და ზედმეტად ვინრო საკითხს შორის ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია. ამისათვის ერთ-ერთი კარგი საშუალება ხელმძღვანელთან ან პროფესორთან წინასწარი კონსულტაციაა. ის, გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი ბალანსის დაცვაში დაგვეხმარება.

გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომის სიდიდის მიხედვით შეიძლება საკითხის კონკრეტულობის ხარისხის გადაწყვეტა – რაც უფრო მცირე მასშტაბის არის ნაშრომი, მაგალითად: საკურსო, სამსახურებრივი მემორანდუმი, მით უფრო კონკრეტული უნდა იყოს ის საკითხი, რომელსაც ნაშრომი ეხება, ვინაიდან თემის ფართოდ განხილვას შესაბამისი დრო და სივრცე სჭირდება; ხოლო რაც უფრო დიდი მოცულობისაა ნაშრომი, მაგალითად: სადოქტორო დისერტაცია ან სამაგისტრო თემა, მით უფრო შესაძლებელია, იგი შედარებით ზოგად და ფართო საკითხს დაეთმოს. მაგალითად, სადოქტორო ნაშრომის საკითხი შეიძლება იყოს „საპარლამენტო კონტროლი საქართველოში.“ სადოქტორო ნაშრომის მოცულობა და ის დიდი დრო, რომელიც სადოქტორო კვლევას ეთმობა, საშუალებას მისცემს ავტორს, სიღრმისეულად, ისტორიულად გამოიკვლიოს ამ ინ-

სტიტუტის განვითარება და განვითარების თავისებურებები, რასაც საკურსო ნაშრომის ავტორი შედარებით პატარა მოცულობის ფორმატისა და მცირე დროის ფარგლებში ვერ შეძლებდა.

ნაშრომის თემიდან საკითხის შერჩევაში გვეხმარება სწორედ ლიტერატურის მიმოხილვა. ლიტერატურის მიმოხილვა იწყება ავტორისთვის საინტერესო და ახლობელ თემაზე ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების გაცნობით. ამისათვის მნიშვნელოვანია, თავიდან გავეცნოთ თემის გარშემო არსებულ რამდენიმე ავტორიტეტულ ნაშრომს, მონოგრაფიას ან სახელმძღვანელოს. ეს საშუალებას მოგვცემს, ზოგადად გავეცნოთ ჩვენთვის საინტერესო თემას და გავიგოთ, თუ რა ძირითადი არგუმენტები არსებობს მის გარშემო. ამ გზით ნელ-ნელა გამოვრიცხავთ იმ საკითხებს, რომლებიც უკვე კარგად დამუშავებული და გამოკვლეულია და ვიპოვით იმ საკითხს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ სი-ახლე.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილი უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. იგი ასახავს იმ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელსაც თქვენ გაეცანით კვლევაზე მუშაობის პროცესში. ლიტერატურის მიმოხილვასა და მთლიანად კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა შემდგომში აისახება ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

ნაშრომის ხასიათზეა დამოკიდებული, რამდენ ლიტერატურას გაეცნობით კვლევის პროცესში. დისერტაციისა და სამაგისტრო ნაშრომის დროს ეს შეიძლება

იყოს უამრავი წიგნი და სტატია. შესაბამისად, საჭირობოროტოა ამ ზღვა მასალის ორგანიზება გარკვეული პრინციპების მიხედვით. ლიტერატურის მიმოხილვის ორგანიზება შეიძლება ქრონოლოგიურად და თემატურად. ქრონოლოგიურად ორგანიზებისას მასალებს ვალაგებთ ყველაზე ძველიდან ახლისაკენ, ვინაიდან ამ პრინციპით მივუთითებთ, თუ როგორ განვითარდა მეცნიერული მსჯელობა კონკრეტულ საკითხზე. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, ერთმანეთში არ ავურიოთ სხვადასხვა საკითხზე წარმოებული კამათი და ლიტერატურა თემატურადაც დავალაგოთ. ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურად ვალაგებთ ლიტერატურას თემების მიხედვით. მაგალითად, თუ ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით ვიყენებთ ლიტერატურას, რომელიც მსჯელობს როგორც ინსტიტუტის წარმოშობაზე, ასევე მსოფლიოში გავრცელებასა და ეფექტურობაზე, ამ ყველა ნაშრომის ერთად, თუნდაც ქრონოლოგიურად მოთავსება დააბნევდა მკითხველს და ვერ მოგვცემდა საშუალებას, სათითაოდ ნათლად აღგვეჩერა ეს სხვადასხვა სფეროში მიმდინარე სამეცნიერო კამათი. შესაბამისად, უპრიანი იქნებოდა, ამ მასალების ჯერ თემატურ ქვეთავებში, ხოლო შემდეგ თითოეულ ქვეთავში ქრონოლოგიურად დალაგება.

გავითვალისწინოთ, რომ ლიტერატურის მიმოხილვის არსი არ არის სამეცნიერო ნაშრომების შინაარსის შეჯამება. მიმოხილვის არსია უკვე არსებული ნაშრომების გაკრიტიკება იმ თვალსაზრისით, რომელიც გა-

მოაჩენს, თუ რა მხრივ, რა თვალსაწიერიდან და პერსპექტივიდან არ ყოფილა გამოკვლეული ჩვენთვის საინტერესო თემა და, შესაბამისად, რომელი საკითხი იმსახურებს შესწავლას. ეს ნაწილი პასუხობს კითხვებს:

- რა არ არის ნათქვამი მკვლევართა მიერ?
- სად არის შეუთანხმებლობა?
- რა არის არასწორი მსჯელობებში?
- სად არის ნაკლები მტკიცებულებები?
- არის თუ არა მსჯელობა საკმარისად ახალი?

შესაძლებელია, მოხდეს ისე, რომ, როცა თქვენ დაინწყებთ ერთ რომელიმე საკითხზე მუშაობას, სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე საკმარისი რაოდენობით ვერ ნახოთ, რადგან ძალიან ბევრი კვლევა საქართველოში არ მიმდინარეობს. აქ უკვე თქვენი გადასაწყვეტია, ახვალთ თუ არა შემდეგ საფეხურზე და მიმოიხილავთ თუ არა უცხოენოვან წყაროებს. კარგია, როდესაც არის საშუალება, კვლევაში გამოვრიცხოთ ის, რაც დაწერილია და ვიპოვოთ ის, რაც ვინმეს თავის კვლევაში გამორჩა. როდესაც ლიტერატურის მიმოხილვისას ნახავთ, რომ ამა თუ იმ ავტორს უკვე დაწერილი აქვს რომელიმე კონკრეტულ საკითხზე სტატია, იქვე შეგიძლიათ ნახოთ, მას რა გამორჩა და თქვენ მიმოიხილოთ იგი. ეს კონკრეტული ავტორი მოხვდება თქვენეულ ლიტერატურის მიმოხილვაში და იქვე მიუთითებთ, რომ ამ ავტორს ძალიან კარგი ნაშრომი აქვს, მაგრამ იგი უკვე მოძველებულია და მას, მაგალითად, გამორჩა ესა თუ

ის საკითხი. თქვენ შეგიძლიათ, დაამატოთ სხვადასხვა სიახლე. აქედან გამომდინარე, არ არის საჭირო ველოსიპედის თავიდან გამოგონება – თუ ვინმეს დაწერილი აქვს უკვე ესა თუ ის სტატია, თქვენ არ უნდა დახარჯოთ დრო იმ საკითხის კვლევაში, რომელიც უკვე გამოკვლეულია.

მაგალითისათვის, ბევრი კვლევა ეხება მხოლოდ ერთი ქვეყნის, მაგ. ამერიკის, მტკიცებულებებს, მაგრამ შედეგები წარმოდგენილია როგორც უნივერსალური. ამ შემთხვევაში ლიტერატურის მიმოხილვა გამოავლენს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც აქვს ამ ნაშრომს, ასევე იმ საკითხებს, რომელთაც ეს ნაშრომი არ მოიცავს და, შესაბამისად, ტოვებს მომავალი ნაშრომებისათვის გამოსაკვლევად.

ლიტერატურის მიმოხილვის მერე აყალიბებს მკვლევარი იმ საკითხებს, რომლებზეც ეძებს მტკიცებულებებს. ეს ეტაპი ჰგავს გამოძიების პროცესს – გამოძიების დროს გამომძიებელმა უნდა იცოდეს, კონკრეტულად რა კითხვაზე ეძებს პასუხს იმ ზღვა მასალაში, რომელიც ერთ კონკრეტულ ინციდენტთან დაკავშირებით არსებობს. არ შეიძლება, გამომძიებელმა ყურადღება „მიმოფანტოს“ და ბევრ საკითხს ერთდროულად და თანაბარი სიღრმით მოეკიდოს. შესაბამისად, დროთა განმავლობაში გამომძიებელი ფოკუსირდება ერთ ძირითად კითხვაზე ან ამოცანაზე, რომელსაც უნდა გასცეს პასუხი. მკვლევარიც ასეა – ლიტერატურის

მიმოხილვის შედეგად იგი აღმოაჩენს საკითხს, რომელსაც შემდეგ მიუძღვნის საკუთარ შრომას.

ლიტერატურის მიმოხილვის სტადია მნიშვნელოვანია, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენ მიერ შერჩეული თემა და საკითხი ახალია, პრობლემურია და გამოკვლევას საჭიროებს. სევდიანია ვითარება, როდესაც ავტორი საკითხზე მუშაობის პროცესის შუალედში აღმოაჩენს, რომ მის მიერ შერჩეული თემა უკვე დიდი ხანია, კარგად დამუშავებული და განხილულია. სწორედ ამ ვითარებიდან თავის დასაღწევად აუცილებელია, გავეცნოთ ჩვენ მიერ შერჩეული საკითხის გარშემო უკვე არსებულ მსჯელობასა და მასალას.

მაგალითად:

შედარებითსამართლებრივი¹⁵ დებატი სამართლებრივი ტრანსპლანტების შესახებ დაიწყო ალან ვატსონის 1974 წლის ნაშრომიდან, რომელმაც სამართლებრივი ტრანსპლანტი განსაზღვრა როგორც „ერთი ქვეყნის ან ხალხის სამართლის სისტემიდან წესის ან სამართლის სისტემის გადატანა მეორეში.“¹⁶ სამართლებრივი ტრან-

¹⁵ See, Konrad Zweigert & Hein Kötz, *Einführung in die Rechtsvergleichung* (1984 2d ed), vol 1, at 16-17 (indicating that ‘the primary object of comparative law – as in the case of all scientific methods – is knowledge.... Comparative law, however, has four more specific practical objectives ... : comparison provides material for the legislator; it serves as an instrument of interpretation; it plays a role in university instruction; and it is of significance for the supranational unification of law’).

¹⁶ Alan Watson, *Legal Transplants: An Approach to Comparative Law* (1993 2d ed), at 21.

სპლანტების შესახებ სამეცნიერო დისკუსიის ცენტრში არის სხვადასხვა წარმოდგენა სამართლის კავშირზე კონტექსტთან.¹⁷ ახლა უკვე კლასიკად აღიარებულ ნაშრომში – „სამართლებრივი ტრანსპლანტები: შედარებითსამართლებრივი მიდგომა“ – ვატსონი მიუთითებს, რომ სამართალი სოციალური სტრუქტურებისაგან დამოუკიდებელია. შესაბამისად, სამართალი მთლიანად მობილურია, „არ არსებობს ზუსტი, კონკრეტული, ახლო, მთლიანი ან აუცილებელი კავშირი სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ პირობებსა და კერძო სამართლის ნორმებს შორის.“¹⁸ ვატსონის მიხედვით, „სისტემათა უმეტესობაში ცვლილებები ნორმების სესხების შედეგია.“¹⁹ ვატსონი გვთავაზობს ცხრა პირობას, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება, რამდენად შეიძლება კანონების გადატანა. ეს პირობებია: წნეხის ძალა, წინააღმდეგობის ძალა, ტრანსპლანტისადმი მიკერძოება, დისკრეციულობა, განზოგადების შესაძლებლობა, სოციალური ინერცია, საჭიროებები, კანონის წყაროები

¹⁷ Loukas A. Mistelis, 'Regulatory Aspects: Globalization, Harmonization, Legal Transplants, and Law Reform – Some Fundamental Observations', 34 *Int'l L* (2000), at 1055.

¹⁸ Edward M. Wise, 'The Transplant of Legal Patterns', 38 *Am J Comp L* (1990) at 2. *See also* Alan Watson, 'Comparative Law and Legal Change', 37 *Cambridge LJ* (1978) 2, at 313, 314, 321; Alan Watson, *The Evolution of Law* (1985); Alan Watson, *Society and Legal Change* (1977); Alan Watson, 'Aspects of Reception of Law', 44 *Am J Comp L* (1991) 335; Alan Watson, *Legal Transplants: An Approach to Comparative Law* (1993).

¹⁹ Alan Watson, *Legal Transplants; An Approach to Comparative Law* (1974) at 94.

და კანონის შემმუშავებელი იურისტები.²⁰ სამართლებრივი ტრანსპლანტები ღრმა კვლევისა და სამეცნიერო დებატის საგანია. მეცნიერები ხშირად იხილავენ სამართლებრივი ტრანსპლანტაციის პროცესებს და პირებს, ისევე როგორც ტრანსპლანტაციის შედეგებს.²¹

ვერტიკალური სამართლებრივი ტრანსპლანტებია ნორმები, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლიდან და ინერგება შიდა სამართალში. მეცნიერებს გამოკვლეული აქვთ ეს პროცესი და ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობს საერთაშორისო ნორმების დამკვიდრებას შიდასამართლებრივ სივრცეში.²² თუმცა იშვიათია მეცნიერული კვლევა იმ პროცესებისა, რომ-

²⁰ Alan Watson, 'Comparative Law and Legal Change', 37 Cambridge LJ (1978) 313, at 322.

²¹ See e.g. Rodolfo Sacco, *Legal Formants: A Dynamic Approach to Comparative Law*, 39 AM. J. COMP. L. (1991), at 1, 3. See, also Edward M. Wise, *The Transplant of Legal Patterns*, 38 AM. J. COMP. L. (1990) at 2. See also Maximo Langer, *From Legal Transplants to Legal Translations: The Globalization of Plea Bargaining and the Americanization Thesis in Criminal Procedure*, 45 HARV. INT'L. L. J. 1, 4-6 (2004).

²² Sally Engle Merry, *Human Rights and Gender Violence: Translating International Law into Local Justice* (2006) (Sally Engle Merry has illustrated how local civil society organizations and social movements serve as intermediates in vernacularizing international human rights instruments against domestic violence.); See generally, Harold Hongju Koh, 'Why Do Nations Obey International Law?' 106 Yale LJ (1997) 2599; Harold Hongju Koh, 'How is International Human Rights Law Enforced?' 74 Ind LJ (1999) 1397; See also Harold Hongju Koh, 'Transnational Legal Process', (1996) *Faculty Scholarship Series*, Paper 2096, Yale Law School Legal Scholarship Repository 183 (Harold Koh has written about 'the transnational legal process,' the process through which norm entrepreneurs or 'agents of internalization' facilitate states' internalization of international rules).

ლებიც იწვევს, თან ახლავს ან უკავშირდება შიდასა-
მართლებრივი ნორმების მიღებას საერთაშორისოდ
(ინტერნაციონალიზაციას). კვლევათა უმეტესობა,
რომლებიც მხოლოდ პერიფერიულად უკავშირდება ამ
საკითხს, პოლიტიკურ მეცნიერებებშია. ეს საკითხი
ჯერ არ არის სისტემურად შესწავლილი.²³

3. მტკიცებულებების ანალიზი

მას შემდეგ, რაც დავასრულეთ ლიტერატურის მიმო-
ხილვას და მოვახდენთ კვლევის საკითხის იდენტიფი-
ცირებას, შესაძლებელია კვლევაზე გადასვლა და კვლე-
ვისათვის მტკიცებულებების მოძიება. მტკიცებულე-
ბებში იგულისხმება ის მასალა, რომლის ანალიზსაც ახ-
დენს მკვლევარი და რომლის ანალიზის შედეგადაც ის
წარმოადგენს კვლევის შედეგს სამეცნიერო სიახლის
სახით. მტკიცებულება სხვადასხვაგვარია: ისტორიულ
კვლევაში, მაგალითად, მტკიცებულება შეიძლება იყოს
ისტორიული წყაროები, მონათხრობები; სოციალურ-
სამართლებრივ კვლევაში შეიძლება იყოს ემპირიული
მასალა; შედარებითსამართლებრივ კვლევაში მტკიცე-
ბულება შეიძლება იყოს მონაცემები ორი ან მეტი სხვა-
დასხვა ქვეყნიდან, იურისდიქციიდან ან სფეროდან.

²³ A. Dolidze, *Bridging Comparative and International Law: Amicus Curiae Participation as a Vertical Legal Transplant*, *The European Journal of International Law*, Vol. 26 no. 4, 857.

მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპი ყველაზე შრომატევადი და მნიშვნელოვანია ნაშრომისათვის, ვინაიდან სწორედ მტკიცებულებათა შესწავლისა და ანალიზის შედეგად ახერხებს მკვლევარი, საზოგადოებას წარუდგინოს ახალი და საინტერესო მიგნება. მაგალითად, თუ კვლევა შედარებითსამართლებრივია და ეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში, როგორც ამერიკული ინსტიტუტის ტრანსპლანტს, მაშინ მკვლევრის მტკიცებულებები შეიძლება იყოს მასალები, რომლებიც უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის მუშაობას აშშ-სა და საქართველოში. ამ მტკიცებულებათა შედარების შედეგად მკვლევარი შეძლებს, შეაფასოს, რამდენად არის გადმოღებული ქართული ინსტიტუტი ამერიკულიდან და შემოგვთავაზოს თანამდები დასკვნები.

მნიშვნელოვანი ფაქტორია მტკიცებულებათა შესაბამისი ორგანიზება. მტკიცებულებას და მათ ანალიზს უნდა ჰქონდეს რაიმე ლოგიკური სტრუქტურა – ეს შეიძლება იყოს ქრონოლოგიური ან თემატური დალაგება, ან დალაგება რაიმე სხვა ნიშნით. მთავარია მათი ისე ცხადად დალაგება, რომ მკითხველმა ადვილად შეძლოს გაგება.

მაგალითად:

„4. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს მეექვსე მუხლთან, სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებასთან მიმართებით. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ 1992 წელს გამოიტანა საქმეზე – რ. ბელგის წინააღმდეგ, რომელშიც დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა გადაწყვეტილება გამოქვეყნდა დასაბუთების გარეშე, სასამართლოს თავმჯდომარემ მსაჯულებს დაუსვა, სულ მცირე, ოთხი კითხვა და ბრალდებულს ამ კითხვების თავიდან აცილების საშუალება ჰქონდა. კომისიის აზრით, სწორედ ეს კითხვები, რომელთა დასმა ბრალდების და დაცვის მხარეს შეეძლო, იყო მსაჯულთა გადაწყვეტილების საფუძველი და ახდენდა მსაჯულთა გადაწყვეტილების ლაკონიურობის კომპენსირებას.

საქმეში – პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ – სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებას და დაცვას ჰქონდა საშუალება, აეცილებინა მოსამართლის მიერ დასმული კითხვები და ასევე წარედგინა საკუთარი კითხვები. სასამართლომ მიუთითა: ის ფაქტი, რომ მო-

სამართლემ მსაჯულებს დაუსვა 768 კითხვა, საკმარისი იყო დასაბუთებულობის დასაკმაყოფილებლად.

საქმეში – სარიქი დანიის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გადანყვეტილების დასაბუთების გარეშე გამოტანა თავისთავად არ იყო კონვენციის მოთხოვნათა დარღვევა.

ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლოს უახლესი გადანყვეტილება საქმეში – ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ გადანყვეტილებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმგვარი სახით არსებობას, როგორც ის არსებობს ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ერთ-ერთმა ინგლისელმა მკვლევარმა ამ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით განაცხადა კიდევ, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაიწყო მეექვსე მუხლის მეშვეობით თავისუფლების დიდი ქარტიის ცვლილება, რადგანაც მოითხოვა, რომ მსაჯულებმა დაასაბუთონ საკუთარი გადანყვეტილებები.“

ტაქსკეტის საქმეში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მსაჯულთა მონაწილეობით წარმართული სასამართლო პროცესი, რომლის შედეგადაც ის მკვლევლობის ჩადენაში დამნაშავედ ცნეს, არ შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. მოსარჩელე ბელგიის მოქალაქე იყო, რომელიც 1991 წელს ჩადენილი მკვლევლობისათვის 20-წლიან სასჯელს იხდიდა. საქმეში იყო რვა ბრალდებული. მოსარჩელის სასამართლო

პროცესი რამდენიმე თვეს გრძელდებოდა. სასამართლომ ბევრი მოწმე და ექსპერტი დაკითხა. ვერდიქტის გამოსატანად ნაფიც მსაჯულებს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დასმულ 32 კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი. კითხვები მოკლე იყო და ყველა ბრალდებულთან დაკავშირებით ერთი და იგივე კითხვა დაისვა. მსაჯულებმა დადებითად უპასუხეს ყველა კითხვას და 2004 წლის 7 იანვარს სასამართლომ ბრალდებულს 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე სასამართლოს ზედა ინსტანციამაც უარი თქვა.

ბატონ ტაქსკეტის აზრით, სასამართლო პროცესი ეწინააღმდეგებოდა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, ვინაიდან მის წინააღმდეგ გამოტანილი ვერდიქტი არ შეიცავდა დასაბუთებას. ამგვარად, შეუძლებელი იყო საქმის ყველა გარემოების გასაჩივრება. ასევე, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ევროპული კონვენციის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ მას არ მიეცა საშუალება, დაეკითხა ერთ-ერთი მოწმე, რომელიც საქმეში ანონიმურად მონაწილეობდა.

ევროპულმა სასამართლომ პირველადი განხილვის შემდეგ დაადგინა, რომ მოსარჩელის უფლებები მართლაც დაირღვა, თუმცა ბელგიამ ეს გადანყვეტილება ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში გაასაჩივრა.

საქმეში მესამე მხარის სახით მოსაზრებები წარადგინეს დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და საფრანგეთის მთავრობებმა. სამივე ქვეყნის მოსაზრებით, ის

ფაქტი, რომ მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენი არ მოიცავდა დასაბუთებას, თავისთავად არ მოდიოდა წინააღმდეგობაში ევროპულ კონვენციასთან. ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მტკიცებით, ბრალდებულისათვის მსაჯულთა გადაწყვეტილება ნათელი ხდებოდა მოსამართლეთა განმარტებების მიხედვით. სწორედ რომ ამ განმარტებების ფარგლებში უნდა მომხდარიყო მსაჯულთა ვერდიქტის განხილვა და ინტერპრეტაცია. საფრანგეთის აზრით კი, სასამართლოს არ უნდა განეცრცო საკუთარი უფლებამოსილება წევრი სახელმწიფოების ეროვნული სასამართლო სისტემების ჰარმონიზების მიზნით. საკუთარ მოსაზრებაში საფრანგეთი მსაჯულთა სასამართლოს ისტორიულ ხასიათსა და ფრანგულ თავისებურებებზე მიუთითებდა.

საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ბელგიამ საკუთარი კანონმდებლობა შეცვალა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების მიხედვით, სასამართლოს თავმჯდომარეს დაევალა მსაჯულებისათვის დახმარების აღმოჩენა ვერდიქტის დასაბუთების ჩამოყალიბებაში.

თავდაპირველად დიდმა პალატამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტზე იმსჯელა. მან აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს მთელ რიგ ქვეყნებში მიღებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომლის ამოსავალი მიზანი მართლმსაჯულების აღსრულებაში მოქალაქეთა ჩართვაა. ამ სისტემის ამოსავალი წერტილი არის გა-

დანყვეტილების მიღებაში მოსამართლის მონაწილეობის შეზღუდვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში ნაფიცი მსაჯულები სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ მართლმსაჯულებაში და რომ სასამართლოს დანიშნულებას სცდება ამ ინსტიტუტის განზოგადებული განხილვა ან კიდევ სასამართლო პროცესების სტანდარტიზება. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ წევრ ქვეყანათა გამგებლობას მიეკუთვნება ის საკითხი, თუ როგორ მოაწესრიგებენ მართლმსაჯულების აღსრულებას. უმთავრესი კი ისაა, რომ ქვეყნების მიერ არჩეულ მეთოდს მე-6 მუხლთან შეთავსებად შედეგამდე მივყავდეთ.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თავისთავად მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის დაუსაბუთებლობა არ არის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, თუმცა იმისათვის, რომ მეექვსე მუხლის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს, საკმარისი გარანტიები უნდა არსებობდეს, რათა ბრალდებულმა და ასევე საზოგადოებამ გაიაზროს მსაჯულთა ვერდიქტი. სასამართლომ აღნიშნა: „მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პროცესის მთლიანობაში განხილვით მსჯავრდებულმა გააცნობიეროს მის წინააღმდეგ ბრალდება, იმ დანაშაულის შემადგენელი ნაწილები, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება და გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი.“ ასეთი გარანტია შეიძლება იყოს, მაგალითად, მოსამართლის მიერ განეული ინსტრუქცია საქმის სამართლებრივ ასპექტებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ისევე როგორც

მოსამართლის მიერ მსაჯულთათვის დასმული კონკრეტული და ნათლად ჩამოყალიბებული კითხვები, რომელთა ფარგლებშიც ხდება ვერდიქტის გამოტანა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ტაქსკეტის საქმეში არც საბრალდებო დასკვნა და არც მსაჯულთათვის მოსამართლის მიერ დასმული კითხვები მოიცავდა საკმარის ინფორმაციას ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში შეტანილ წვლილზე. მსაჯულთათვის დასმული კითხვებიც არ იყო იმდენად კონკრეტული, რომ ბრალდებულს გაეცნობიერებინა მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი. საბრალდებო დასკვნა და მსაჯულთა მიმართ დასმული კითხვები ერთობლივადაც კი არ იძლეოდა საშუალებას, ბატონ ტაქსკეტს კონკრეტულად განესაზღვრა საკუთარი ბრალეულობა სხვა ბრალდებულებთან მიმართებით, განესაზღვრა, თუ რომელ მტკიცებულებებს ეყრდნობოდნენ მსაჯულები და კონკრეტულად რას მიიჩნევდნენ ისინი დამამძიმებელ გარემოებად.

„ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას“, დასძინა სასამართლომ, „რომ მსაჯულთათვის დასმული კითხვები აუცილებელია, რათა მოსარჩელემ გაიაზროს მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. გარდა ამისა, ვინაიდან საქმე ეხებოდა რამდენიმე ბრალდებულს, კითხვები უნდა ყოფილიყო რაც შეიძლება მეტად მორგებული ყოველ ცალკეულ ბრალდებულზე.“

გარდა ამისა, ბელგიური სამართალი არ იძლეოდა საშუალებას მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრებისას

სააპელაციო წესით. საკასაციო წესით გასაჩივრება კი არ იძლეოდა საშუალებას, მოსარჩელისათვის ნათელი გამხდარიყო მისი ბრალეულად ცნობის მიზეზები. ამის გამო სასამართლომ დასძინა, რომ მოსარჩელეს კონვენციის მე-6 (1) მუხლით უზრუნველყოფილი უფლება დაერღვა.

ამასთანავე, ვინაიდან ბატონ ტაქსკეტს არ ჰქონდა საშუალება, დაეკითხა ანონიმური მონმე, სწორედ რომ პროცესის ამ თავისებურებებიდან გამომდინარე, სასამართლომ ზედმეტად ჩათვალა საჩივრის ამ მხარის განცალკევებით განხილვა.²⁴

„3. საკანონმდებლო ინიციატივა ბიკამერალურ პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 143-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და პარლამენტისათვის წარდგენით. საკანონმდებლო ინიციატივა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი პირველი სტადიაა.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვილ სუბიექტთა წრე უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფოს ძირითად კანონშია ჩამოთვლილი და პრაქტიკულად ყოველ მათგანში მსგავს მიდგომებს ვხვდებით.

²⁴ სქოლიო *supra* 5, 52-53.

შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით არ სარგებლობდეს პრეზიდენტი. ერთგვარ თავისებურ მიდგომას ვეთავაზობს ნიდერლანდის კონსტიტუცია, სადაც გენერალური შტატების პირველ პალატას არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია იმის თქმა, რომ მათი უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ე.წ. პლურალისტურ მიდგომას, როდესაც სხვადასხვა სუბიექტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ე.წ. დუალისტური მიდგომა, როდესაც საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს როგორც პარლამენტს, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას, პლურალისტურ მიდგომასთან შედარებით, ნაკლებადაა გავრცელებული. ამ მხრივ, აღსანიშნავია აშშ-ის კონსტიტუცია, რომელშიც კვლავინდებურად რჩება ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კონსერვატიული და გამორიცხავს აღმასრულებელი ხელისუფლების პირდაპირ მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობის საწყის ეტაპზე, არ ანიჭებს რა მას საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას.

არსებითი საკითხი, რომელიც *iter legislatives* საწყის ეტაპზე იკვეთება, დაკავშირებულია ე.წ. პირველგანმხილველი პალატის განსაზღვრასთან, ანუ რომელი პალატაა კომპეტენტური, მიიღოს კანონპროექტი თავდაპირველად და წამოიწყოს მისი განხილვა.

ამ საკითხის მიმართ არსებობს განსხვავებული მიდგომები. ზოგიერთ სახელმწიფოში კანონპროექტი

თავდაპირველად მხოლოდ ქვედა პალატაში შეიტანება და მხოლოდ ამის მერე გადაეგზავნება ზედა პალატას, რომელიც სარგებლობს აბსოლუტური ან/და სუსპენზიური ვეტოს უფლებით.

ზემოთ განხილული შემთხვევებისგან განსხვავებით, ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ რომელი პალატა გვევლინება საკანონმდებლო ინიციატივის ადრესატად. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევებში, როგორც წესი, დეპუტატებს კანონპროექტი შეაქვთ იმ პალატაში, რომლის შემადგენლობაშიც შედიან. რაც შეეხება იმ კანონპროექტებს, რომელთა ინიციატორები არ არიან პარლამენტის წევრები, მათ უფლება აქვთ, კანონპროექტის ინიცირებისას იხელმძღვანელონ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციით განსაზღვრული კანონპროექტები შეიტანება მხოლოდ ქვედა პალატაში, ნაწილი კი მხოლოდ ზედა პალატაში.

რუმინეთის კონსტიტუციის 73-ე და 731-ე მუხლების თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივა, პირველ რიგში, წარედგინება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ანუ პირველგანმხილველ პალატას. დეპუტატთა პალატა, როგორც პირველგანმხილველი პალატა, განიხილავს და იღებს კანონებს და სხვა საკანონმდებლო წინადადებებს ხელშეკრულებების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციისთვის, ასევე, ამ ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ღო-

ნისძიებებს, ასევე, კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონების პროექტებზე. სხვა კანონები და საკანონმდებლო წინადადებები განიხილება და მიიღება სენატში, როგორც პირველგანმხილველ პალატაში.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოთა უმრავლესობაში პირველგანმხილველ პალატად სწორედ ქვედა პალატა გვევლინება. მცირეა იმ სახელმწიფოთა რიცხვი, სადაც საკანონმდებლო ინიციატივით თანაბრად შესაძლებელია, მიმართოთ ორივე პალატას და ეს უკანასკნელი დამახასიათებელია იმ სისტემებისათვის, სადაც ოპერირებს ძლიერი ზედა პალატა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სისტემის ქვეყნებშიც პრაქტიკულად ერთგვარი უპირატესობა მაინც ქვედა პალატას ეკუთვნის. მაგალითად, იტალიის პარლამენტის სტატისტიკას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ 2008–2012 წლებში 5473 კანონპროექტი შევიდა ქვედა პალატაში, ხოლო 3361 – სენატში. ამათგან პარლამენტის ინიციატივა იყო სენატში 3110, ქვედა პალატაში კი 516627.

თუ დავაკვირდებით საფრანგეთში არსებულ სტატისტიკას, წარდგენილი კანონპროექტების 3/4 სწორედ პარლამენტის ინიციატივაა და მათგან 2/3 ქვედა პალატის მიერ არის წარდგენილი. ამავე სტატისტიკის ანალიზით, საფრანგეთის სენატის როლი საკანონმდებლო პროცესის ამ სტადიაზე შედარებით მცირეა. მართალია, ინიცირებული კანონპროექტების 3/4 პარლამენ-

ტიდან მოდის, თუმცა მათ შორის მხოლოდ 1/3-ია სენატის ინიცირებული.

რაც შეეხება გერმანიის მაგალითს, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, საკანონმდებლო ინიციატივა, მთავრობის გარდა, ეკუთვნის, ასევე, ბუნდესტაგის წევრებსა და ბუნდესრატს, ამ უკანასკნელის როლი კი შედარებით მეორეხარისხოვანია, როგორც რაოდენობრივად (საშუალოდ 3,6% 1969 წლამდე და შემდეგ 13,7%-ამდე გაიზარდა ინიცირებული კანონპროექტების მაჩვენებელი), ისე შედეგიანობის თვალსაზრისით (ანუ მხოლოდ 30% იქცევა კანონად 40%-იან ბუნდესტაგისა და 85%-იან მთავრობის 31 მაჩვენებელთან შედარებით).²⁵

4. შედეგები

კვლევის შედეგის წარდგენას თავისთავად ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ არ ავხსენით მისი მნიშვნელობა. მნიშვნელობის ახსნა, პირველ რიგში, უკავშირდება იმის წარმოჩენას, თუ რა წვლილი შეიტანა თქვენი კვლევის შედეგებმა სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაბამისად, კვლევის შედეგების მნიშვნელობაზე საუბრის დროს აუცილებელია, უკუკავშირი დამყარდეს იმ სამეცნიერო ლიტერატურასთან, რომელთან დიალოგშიც თქვენ ჩაერთეთ. შედეგში უნდა დავინახოთ, რა წვლილი შეიტანა თქვენმა

²⁵ სქოლიო *supra* 6, 160-163.

ნაშრომმა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურაში და როგორ გაამდიდრა იგი. თუ, მაგალითად, ლიტერატურის მიმოხილვაში თქვენ მიუთითეთ, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რაიმე საკითხზე ან კიდევ რაიმე თემა არ არის სათანადოდ გამოკვლეული, მაშინ შედეგების განყოფილებაში მნიშვნელოვანი იქნება, აღნიშნოთ, თუ როგორ გააუმჯობესეთ თქვენ ლიტერატურაში არსებული ვითარება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ შედეგების შეჯამების შემდეგ დაუბრუნდეთ ნაშრომის შესავალს და თქვენი შედეგი იქ ასახოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესავალი არის ნაშრომის სავიზიტო ბარათი, რომლის წაკითხვის შემდეგ მკითხველს უყალიბდება წარმოდგენა ნაშრომის ხარისხის შესახებ. შესაბამისად, შესავალშივე მნიშვნელოვანია ნაშრომის წვლილის აღნიშვნა და მისთვის ხაზგასმა.

ნაშრომის შედეგების წარმოდგენისას ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ კითხვებს:

- რა არის ჩემს ნაშრომში ახალი?
- რა არის განსხვავებული?
- რით განსხვავდება ჩემი მიგნება იმისაგან, რაც უკვე ნათქვამია?
- რატომ არის ჩემი კვლევის შედეგი მნიშვნელოვანი?
- რა ახალ შესაძლებლობებს იძლევა ჩემი კვლევა?

მაგალითად:

სასამართლოს ამ მიდგომის მხედველობაში მიღება აუცილებელია, რათა შეფასდეს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში დანერგილი ეს ინსტიტუტი ევროპული კონვენციით დადგენილ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

გ. დასკვნა

ყველა ნაშრომს სჭირდება დასკვნითი ნაწილი. დასკვნაში ჯამდება ნაშრომის ძირითადი არსი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი შენატანი მეცნიერებაში. დასკვნასთან დაკავშირებით განსხვავებული ტრადიციები არსებობს საქართველოსა და დასავლეთში: საქართველოში მიღებულია ნაშრომის ძირითადი არგუმენტების, წვლილის აღნიშვნა ნაშრომის ბოლოს. შესაბამისად, მკითხველი მხოლოდ ნაშრომის ბოლოს იგებს მის წვლილს, თეზისს და ა.შ.; დასავლეთში კი მიღებულია ნაშრომის დასაწყისშივე თეზისისა და ნაშრომის წვლილის აღწერა და ის მხოლოდ მეორდება ნაშრომის დასკვნაში.

დასავლეთში საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისათვის, ზეპირად თუ წერილობით, მოქმედებს დაუნერეღი წესი: თქვით, რის თქმას აპირებთ, თქვით თქვენი სათქმელი და შეაჯამეთ, რა თქვით.

მაშასადამე, კითხვები, რომელთაც დასკვნა უნდა პასუხობდეს, არის შემდეგი:

- მოკლედ როგორ შეაჯამებდით ნაშრომის შინა-არსს?
- როგორ შეაჯამებდით იმ პრობლემას/საკითხს/დებატს, რომელშიც გადანყვიტეთ წვლილის შეტანა?
- როგორ გამოყოფდით და მოკლედ შეაჯამებდით, განსაკუთრებით, იმ ნაწილს, რომელიც ახალი და ორიგინალურია?
- როგორ შეაჯამებდით, რითი გაამდიდრეთ ეს პრობლემა/საკითხი/დებატი?
- კვლევის რა გზები/საკითხები გამოიკვეთა მომავლისათვის?

მაგალითად:

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქართველოში უფრო დიდი ისტორია აქვს, ვიდრე ეს შეიძლება, ერთი შეხედვით, ჩანდეს. როგორც ისტორიული წყაროები მიუთითებენ, მსჯავრის დადება მოსახლეობის მონაწილეობით საქართველოში ოდითგანვე ხდებოდა. მსაჯულთა სასამართლო ოფიციალურად შემოღებულ იქნა ორჯერ: პირველად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ხოლო მეორედ 2004 წელს კონსტიტუციური რეფორმების შედეგად, თუმცა სინამდვილეში პროცესი მხოლოდ 2011 წლიდან ამოქმედდა. ევროპულ კონვენციასთან და პრეცედენტულ სამართალთან საქართველოს სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის

მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ გადანყვეტილების დასაბუთებულობის კუთხით ქართული სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს იმ პროცედურებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინამდებარე მსჯელობა ეხებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხოლოდ ერთ ასპექტს – გადანყვეტილების დასაბუთებულობას. სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის შესაბამისობის სხვა ასპექტები ცალკე კვლევის საგანია.²⁶

„თანამედროვე ბიკამერალურ პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზმა საშუალება მოგვცა, მივსულიყავით იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს არათუ ერთიანი მიდგომა, არამედ ის მოდელი, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებულია. ერთი, რაც შეიძლება ამ თვალსაზრისით ითქვას, არის ის, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ე.წ. სრულყოფილი ბიკამერალური პარლამენტი (ძლიერი ზედა პალატით), სადაც საკანონმდებლო პროცესის განხორციელებისას ზედა პალატა ქვედა პალატასთან მიმართებით თანაბარი უფლებამოსილებებით იქნება აღჭურვილი, შედარებით უფრო იშვიათ შემთხვევაში

²⁶ სქოლიო *supra* 5, 51.

გვხვდება. ძლიერი ზედა პალატის მეორე ბიკამერალურ პარლამენტთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ შეერთებული შტატების კონგრესი, სადაც ორივე პალატა პრაქტიკულად თანაბარი კომპეტენციით არის აღჭურვილი. რაც შეეხება კონტინენტურ ევროპას, ბელგიაში განხორციელებული სენატის რეფორმის შემდეგ ძლიერი პალატის ნიშნებს ინარჩუნებენ მხოლოდ იტალიის, შვეიცარიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის რესპუბლიკები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ეს სისტემა კრიტიკის ობიექტია.

ბიკამერალური პარლამენტის პრაქტიკულად ერთხმად აღიარებულ დადებით მახასიათებლად გვევლინება ის, რომ მიღებული კანონი მრავალმხრივი მსჯელობისა და ანალიზის საგანია, რომლის განხილვაშიც მონაწილეობენ არა მარტო ის დეპუტატები, რომლებიც არჩეულნი არიან პარტიული სიით და წარმოადგენენ ამომრჩეველს ერთიანობაში, არამედ ის სუბიექტები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ბიკამერალურ პარლამენტში საკანონმდებლო პროცედურები შედარებით უფრო გრძელი და ხანგრძლივია, თუმცა შედეგად კანონი გაცილებით მაღალხარისხოვანია და ასახავს მაქსიმალურად მეტი სოციალური, ეთნიკური თუ სხვა სახის სოციალური ჯგუფის ინტერესებს.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციით არის აღჭურვილი ხოლმე ერთობლივი შემათანხმებელი კომისია,

რომელიც, როგორც წესი, მონაწილეობს საკანონმდებლო პროცესის ყველაზე კრიტიკულ მომენტში და ხშირ შემთხვევაში პოზიტიური წვლილი შეაქვს. ბუნებრივია, აღნიშნული კიდევ უფრო ახანგრძლივებს პროცედურას, ამიტომ შემთხვევათა მთელ რიგში ქვეყნის კანონმდებელს ურჩევნია, ორ პალატას შორის უთანხმოებისას პირდაპირ ერთ-ერთ მათგანს მიანიჭოს უპირატესობა და, როგორც წესი, ეს ქვედა პალატა არის ხოლმე.

იმედს გამოვთქვამთ, საქართველოს სინამდვილეში მალე დადგება კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული „შესაბამისი პირობები“, რაც საფუძველი გახდება, ერთი მხრივ, დაიწყოს აქტიური მსჯელობა ბიკამერალური პარლამენტის იმპლემენტირების საჭიროებაზე და, მეორე მხრივ, გაიმართოს არაერთი დისკუსია, განხორციელდეს სამეცნიერო კვლევა, საზღვარგარეთის პრაქტიკის ანალიზი და შედეგად, საშუალება მოგვეცეს, განვსაზღვროთ საკანონმდებლო პროცესის შესაძლო მონესრიგების მექანიზმები, პალატათა კომპეტენციები და ბიკამერალური პარლამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა მრავალი საკითხი.“²⁷

თუ ნაშრომში აღწერილი გაქვთ რაიმე სამეცნიერო კამათი, აუცილებლად მოკლედ დაუკავშირეთ თქვენი ნაშრომის წვლილი ამ დებატს. გაიხსენეთ სამეცნიერო

²⁷ სქოლიო *supra* 6, 170-171.

ლიტერატურის ის კრიტიკა, რომელიც აღწერილი გაქვთ თავში და აღნიშნეთ, როგორ უპასუხეთ ამ კრიტიკას თქვენი შრომით, როგორ ამოავსეთ ის ნაკლოვანებები კვლევებში, რომლებზეც მანამდე მიუთითეთ.

შედარებით უფრო ვრცელ კვლევაში, როგორიც არის დისერტაცია ან სამაგისტრო ნაშრომი, შეიძლება კვლევის ბოლო ნაწილის გაყოფა ორ ნაწილად: სამომავლო ხედვა/პერსპექტივები და დასკვნა. პირველ ნაწილში შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, მომავალში როგორ განვითარდეს კვლევა/მსჯელობა თქვენ მიერ შეტანილ წვლილთან დაკავშირებით, ანუ დასახოთ გზა, საით შეიძლება წავიდეს თქვენ მიერ შეთავაზებული ცოდნა; ამავე ნაწილში შეიძლება მოთავსდეს თქვენი რეკომენდაციები, საკანონმდებლო პოლიტიკისათვის შეთავაზებები, დასკვნაში კი თქვენი ნაშრომის შეჯამება. ნიშანდობლივია, რომ მიუღებელია დასკვნაში ახალი არგუმენტებისა და საკითხების შეტანა – დასკვნა მხოლოდ უკვე განხილული არგუმენტების შეჯამებას ეთმობა. გვახსოვდეს, რომ ნაშრომის შესავლისა და დასკვნის დანიშნულებაა, მკითხველს მალევე გააგებინოს ნაშრომის შინაარსი, მისი შენატანი მეცნიერებაში.

დ. წერის სტილი

ამ თავში ასახულია რამდენიმე პრინციპი, რომელთა გათვალისწინება სასურველია წერის დროს. მათი გათვალისწინება ნაშრომს მატებს დამაჯერებლობის ხარისხს, უფრო სასიამოვნოს ხდის მას და გამოარჩევს ყველა სხვა ნაშრომისაგან.

საკუთარი წერის სტილის გამომუშავება აუცილებელია. ზოგადი წესები, რომლებიც გამომუშავებულია ყველასათვის, ვერ გამოხატავს საკუთარ ინდივიდუალურ ხმას და დამოკიდებულებას. თუმცა, ამავე დროს, ბალანსია დასაცავი ზოგად წესებსა და საკუთარ ხელწერას შორის. საკუთარი ხელწერის განვითარება ისეთივე პროცესია, როგორც სახლის ჩუქურთმებით მორთვა-მოპირკეთება. საკუთარი სტილის ანუ ავტორის ხელწერის განვითარება შესაძლებელია და სასურველია მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორი უკვე ფლობს აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გვახსოვდეს კვლევის წერისას, არის ავტორის აზრის ობიექტურობა. კვლევა არ არის ჩვენი სუბიექტური მოსაზრება საკითხის მიმართ. სუბიექტური აზრი გამოიხატება პოლემიკურ ნაშრომში, მემორანდუმში, სარჩელში. კვლევა არის მტკიცებულებებსა და მათ ანალიზზე დაყრდნობილი პროცესი. შესაბამისად, ამ მტკიცებულებების დამუშავებისა და კვლევის აღწერისას ავტორი ინარჩუნებს ობიექტურობას, ანუ ისე აღწერს მოვლენებსა და

მტკიცებულებებს, როგორც არის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კვლევა ეხება თქვენთვის მნიშვნელოვან ან ემოციურ საკითხს, მაგალითად, რომელიმე აღიარებული პირის ბიოგრაფიას, აუცილებელია ობიექტურობის შენარჩუნება ანუ კვლევის ობიექტის ყველა მხრივ დანახვა, ანალიზი და წარმოჩენა. ამ ძირითადი თვისებით განსხვავდება კვლევა ლიტერატურული ნაშრომისაგან.

თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ კვლევას შეიძლება ახლდეს ნორმატიული ასპექტი, ანუ კვლევა მსჯელობდეს ამა თუ იმ ფენომენის ავკარგინობაზე, ამა თუ იმ ზომის სარგებლიანობაზე. თუმცა კარგი მკვლევრისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი განყოფილება კარგად გავმიჯნოთ ჩვენს ნაშრომში: აღწერილობითი ნაწილია ის, სადაც ობიექტურად არის მოცემული მსჯელობა, ხოლო ნორმატიულია ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია თქვენი აზრი და დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ. ეს გამიჯვნა მნიშვნელოვანია, რათა კვლევამ შეინარჩუნოს ობიექტურობის ხარისხი და ავტორის მიუკერძოებლობაში მკითხველს ეჭვი არ შეეპაროს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევის სიცხადე. მკითხველს არ უნდა სჭირდებოდეს დიდი დროის დახარჯვა იმაში, რომ წაკითხულიდან გამოიტანოს შინაარსი და დასკვნა. წინადადებები უნდა იყოს ადვილად გასაგები. საქართველოში ადრე ითვლებოდა, რომ, რაც უფრო რთულია წინადადებების წყობა ნაშრომში და რაც უფრო რთულად გასაგები ლექსიკაა გამოყენებუ-

ლი, მით უფრო კარგია იგი – ეს პრინციპი შეიძლება ეხებოდეს ლიტერატურულ ნაწარმოებს, სამეცნიერო ნაშრომში კი ეცადეთ, რომ ერთი გრძელი წინადადების მაგივრად რამდენიმე მოკლე და ნათელი წინადადება გამოიყენოთ. ამავ დროს, ეცადეთ, მკითხველისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ნაშრომის ენა. წერეთ გასაგებად და ადვილად აღსაქმელად. ამ მხრივ გაითვალისწინეთ ნაშრომის მკითხველიც: თუ მკითხველი სპეციალისტია, მაგალითად დარგის პროფესორი, მაშინ შეიძლება გამოიყენოთ უფრო მეტი ტექნიკური ან სამართლებრივი ტერმინი; თუ შესაძლო მკითხველი შედარებით ფართო აუდიტორიაა, მაშინ პირიქით, იურიდიული ტერმინები მაქსიმალურად უნდა შეამციროთ.

კიდევ ერთი მეთოდი, რომლის გამოყენება შეიძლება, ტექსტს რომ სიცხადე შეეძინოთ, ტექსტის დაყოფაა აბზაცებად. სასურველია, აბზაცები ისეთი სიგრძისა იყოს, რომ მკითხველმა შეძლოს და ადვილად გამოიტანოს აბზაცის შინაარსი – მას არ უნდა დაავიწყდეს, რა საკითხზე დაიწყო მსჯელობა აბზაცის დასაწყისში. შესაბამისად, ნახევარ გვერდზე გრძელი აბზაცები ნაკლებად მისაღებია.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ტექსტი იყოს დაწერილი მრავალფეროვანი ლექსიკით. ეცადეთ, შეამციროთ ტავტოლოგიები. ნაშრომი, რომელიც მდიდარია სინონიმებით, ბევრად უფრო სასიამოვნოდ იკითხება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაწერის ფორმის საკითხი. ფორმაში იგულისხმება ის, რომ ადამიანს ნაშრომში არ აქვს გამოტოვებული ასოები, მძიმე-წერტილი სწორად აქვს თუ არა დასმული, არის თუ არა ტექსტი რედაქტირებული. ფორმის საკითხები, თითქოს უმნიშვნელო, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. მაგალითად, ნაშრომის შესავალში შემჩნეულმა გრამატიკულმა და რედაქციულმა შეცდომამ შეიძლება, მკითხველს დაუკარგოს სურვილი, ენთუზიაზმით გაეცნოს მას.

II. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომთა წერის თავისებურებები

სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებს აერთიანებს საერთო დანიშნულება – ეს არის წვლილის შეტანა ცოდნის იმ სფეროს გამდიდრებაში, რომელშიც ნაშრომი იწერება. ნაშრომების ამოსავალი ამოცანაა, შემატოს სიახლე და ახალი სიტყვა თქვას შესაბამის სფეროში. ბუნებრივია, ეს იდეალური მიზანია, ანუ ამ მიზანს უნდა ესწრაფოდეს ყველა ავტორი, თუმცა მას მხოლოდ ერთეულები თუ მიაღწევენ. შესაბამისად, სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის წერისას ჩვენ მცდელობა არ უნდა მოვაკლოთ, რომ შევარჩიოთ ორიგინალური და ახალი საკითხი, პრობლემას შევხედოთ ახალი პერსპექტივით, მოვიძიოთ ისეთი მასალა, რომელიც მანამდე არ ყოფილა გამოკვლეული. თუმცა იმთავითვე გასაგებია, რომ მხოლოდ ერთეული სადოქტორო ნაშრომებისა გარდაიქმნება საბოლოოდ მონოგრაფიებად და გახდება სამეცნიერო მემკვიდრეობის ნაწილი. მიუხედავად ამისა, ამ მიზნის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომთა წერისას, რათა სწორად შევარჩიოთ თემა, ჩამოვყლიბდეთ საკითხზე და ვიპოვოთ შესაბამისი საკვლევე მასალა.

სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს ეხება ყველა ის რჩევა და პრინციპი, რაც წინა თავებშია. ამ თავში გაწერილია ის განსაკუთრებული მახასიათებლები-

ბი, რომლებიც ასეთი ტიპის ნაშრომებს შეიძლება ახლდეს.

სადოქტორო ნაშრომის წერისას უნდა გავითავისოთ, რომ საბოლოოდ ეს ნაშრომი წიგნი უნდა გახდეს. სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ არის მთელი ერთი ეტაპი, ნახტომი, როდესაც ნაშრომი იქცევა მონოგრაფიად და ამისათვის შესაბამის ცვლილებებს განიცდის. ჩვენც ხომ სწორედ ეს მიზანი გვამოძრავებს – სადოქტორო ნაშრომის საბოლოო სახე სწორედ მონოგრაფიაა, რომელიც გახდება ამ სფეროში სამეცნიერო ლიტერატურის ნაწილი. როგორც აბრეშუმის ჭია ბოლოს შეიძლება გადაიქცეს პეპლად, ასევე სადოქტორო დისერტაცია, შესაბამისი მახასიათებლების არსებობისას, მონოგრაფიად იქცევა.

იდეალურ შემთხვევაში სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები იწერება იმ თემებზე, რომლებიც ავტორისათვის უკვე მეტ-ნაკლებად ნაცნობია. ავტორისათვის ეს თემა ან საკითხი ძვირფასია, ის ზედაპირულად მაინც გამოკვლეული აქვს, ან შეიძლება იცნობდეს მას პროფესიული საქმიანობიდან; შეიძლება, მსგავს თემაზე ავტორს უკვე დაწერილი აქვს სადიპლომოც. ასეთ ვითარებაში ავტორი უკვე მეტ-ნაკლებად იცნობს საკითხის ძირითად მხარეებს, მის შესახებ ძირითად ლიტერატურას. როდესაც ავტორისათვის თემა პრაქტიკული გამოცდილებიდან ნაცნობია, ამ შემთხვევაში მას

შეუძლია, თავის ნაშრომში წარმოაჩინოს ამა თუ იმ ფენომენის მანამდე უცნობი, პრაქტიკული მხარეები.

ნებისმიერ შემთხვევაში, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომის თემისა და საკითხის შერჩევისას ავტორი უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ამ თემაზე/საკითხზე მას ფიქრი, კითხვა და მსჯელობა ძალიან დიდხანს, ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში, მოუწევს. შესაბამისად, უმჯობესია, ისეთი თემა ავარჩიოთ, რომელიც ჩვენთვის ისედაც ძვირფასია, გვინტერესებს და დიდი ხნის ფიქრისა და კვლევის შედეგად მოსაწყენად და მოსაბეზრებლად არ მოგვეჩვენება.

თემის შერჩევისას კიდევ გასათვალისწინებელია, რომ სადოქტორო ნაშრომის დასრულებისა და დაცვის შემდეგ თქვენ გახდებით ამ კონკრეტული თემისა და საკითხის ექსპერტი. ის ცოდნა, რომელსაც ავტორი აგროვებს სადოქტორო ნამუშევარზე მუშაობისას, ძალიან ღრმა და ფასდაუდებელია. შესაბამისად, სადოქტორო ნაშრომის დასრულების შემდეგ ავტორი ყალიბდება სადოქტორო ნაშრომის საკითხის მცოდნედ. მაგალითად, თუ ნაშრომი აქციონერთა უფლებებზეა ან პაციენტთა უფლებებზე, პროფესიულ საზოგადოებას უყალიბდება მოლოდინი, რომ ავტორს საუკეთესოდ ესმის ეს კონკრეტული სფერო. ამიტომ თემისა და საკითხის შერჩევისას მნიშვნელოვანია, წინასწარ ვიფიქროთ, გვინდა თუ არა, რომ საბოლოოდ ჩვენ, როგორც ამა თუ იმ ნაშრომის ავტორს, გვიცნობდნენ ამ საკითხის ექ-

სპერტად და რამდენად გვაქვს სურვილი ასეთი შედეგის დადგომისა.

ყველა სასწავლებელს საკუთარი მოთხოვნები აქვს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ფორმასთან დაკავშირებით, თუმცა ზოგად საერთაშორისო სტანდარტად მიღებულია, რომ სადოქტორო ნაშრომი უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

1. **სათაურის გვერდი** – პირველ გვერდზე გამორჩეული შრიფტით გამოტანილია ნაშრომის სათაური, ასევე ის ფაკულტეტი და დანესებულება, სადაც არის წარდგენილი.

2. **საავტორო უფლებების გვერდი** – სადაც მითითებულია ავტორის სახელი და საავტორო უფლებების დაცვის ნიშანი.

ეს გვერდი აუცილებელია, ვინაიდან საავტორო უფლებების შეთანხმებები ავტორს, უნივერსიტეტსა და, მოგვიანებით, გამომცემლობას შორის სხვადასხვაა და სწორედ ამ საშუალებით შეიძლება საკუთარი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

3. **ანოტაცია** – ეს არის ნაშრომის მოკლე და ნათელი შეჯამება, მოკლე შინაარსი, სადაც აღწერილია ნაშრომის თეზისი, მეთოდი, სამეცნიერო კამათის სფერო და ნვლილი. ანოტაცია მაქსიმუმ 500 სიტყვისაგან შედგება. სწორედ ანოტაციის საშუალებით ხდება ნაშრომე-

ბის წარდგენა კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სწორედ იგი იძლევა საშუალებას, მკითხველმა მალევე გაიგოს ნაშრომის ძირითადი მახასიათებლები.

4. ავტორის ბიოგრაფიული მონახაზი – მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები ავტორის შესახებ.

5. მიძღვნა – ვინაიდან სადოქტორო ნაშრომი ძალიან დიდ ძალისხმევასა და ჯაფას მოითხოვს, მათ შორის: დროს, ყურადღებას, ხანგრძლივ კონცენტრაციას და, ზოგადად, ის არის ავტორისათვის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულება, ტრადიციად არის ქცეული მისი მიძღვნა ვინმესადმი.

6. მადლობა – ამ ნაწილში აღინიშნება იმ ადამიანების წვლილი, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ავტორის მიერ ნაშრომის დაწერაში. ავტორები მადლობას უხდებიან ოჯახის წევრებს, ხელმძღვანელებს, პროფესორებსა და მეგობრებს. ეს ნაწილი იწერება ხატოვნად და ხშირად სასიამოვნო საშუალებაა, ავტორმა დისერტაციის წერისას მიღებული მხარდაჭერა დააფასოს.

7. სარჩევი

8. აბრევიატურები – ნაშრომში გამოყენებული შემოკლებებისა და აბრევიატურების ახსნა.

9. ცხრილების ჩამონათვალი/სახელმძღვანელო

10. შესავალი – დისერტაციის შესავალი იმავე მიზანს ემსახურება და იმავე წესებით იწერება, როგორც ზემოხსენებული წერიტი ნაშრომის შესავალი. თუმცა ის მასშტაბით ბევრად უფრო მოცულობითია. დისერტაციის შესავალი მთელი სამყაროა. შესავალშია გადმოცემული ნაშრომის მთავარი კითხვაც და თეზისიც. მაგალითად, რა ფორმებით მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის შექმნაში? – ამ კითხვაზე დისერტაცია მოიკვლევს ორგანიზაციების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის სარჩელებისა და სასამართლოს მეგობრის განაცხადების წარდგენას საერთაშორისო სასამართლოებში.

შესავლის ცალკე ნაწილი შეიძლება იყოს განმარტებები და ცნებები. ეს ნაწილი განსაკუთრებით აუცილებელია იურისტიკისათვის, ვინაიდან იურისპრუდენცია ნაწილობრივ სწორედ ცნებებზეა აგებული. ამავე დროს, დისერტაცია იმდენად მოცულობითი და საპასუხისმგებლო ნაშრომია, რომ მასში აუცილებელია გამოყენებულ ტერმინებთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება. თუ რომელიმე ცნებას განსაკუთრებით ეყრდნობით და ხშირად იყენებთ, მაგალითად, „არასამთავრობო ორგანიზაცია“ ან „საერთაშორისო ორგანიზაცია“, მნიშვნელოვანია მისი განმარტება. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი თანხმობა არ არსებობს თქვენ მიერ

გამოყენებულ ცნებასთან დაკავშირებით, ან კიდევ არსებობს ორი სკოლა, აზრთა სხვადასხვაობა, მაშინ შეიძლება განმარტებებს მთელი ქვეთავიც კი მიუძღვნათ. აქ უნდა გვახსოვდეს, რომ თქვენს ნაშრომს წვლილი შეაქვს ცოდნის განვითარებასა და განვრცობაში. ასე რომ, თუ სიცხადეს შეიტანთ რომელიმე ცნების ჩამოყალიბებაში, ან, თუნდაც, შემოიტანთ ახალ განმარტებას, ესეც თქვენი ნაშრომის ძლიერ მხარედ ჩაითვლება. ამავე დროს, თუ დეფინიციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, ნუ მოერიდებით, მიემხროთ რომელიმე დეფინიციას, მთავარია, თავიდანვე განაცხადოთ, რომ სწორედ ამ დეფინიციას იყენებთ.

მნიშვნელოვანია, დისერტაციის შესავალში ცალკე ქვეთავი დაუთმოთ მეთოდოლოგიას. საუკეთესო შემთხვევაში, თქვენი ნაშრომი მეთოდოლოგიურადაც საინტერესო და სიახლის მომტანია. შეიძლება, მკითხველმა ყველაზე საინტერესო და ინოვაციური თქვენს სამეცნიერო კვლევის მეთოდში დაინახოს, ის გადაიღოს და მისგან ისწავლოს. სიახლის შეტანას არა მხოლოდ კვლევის შედეგებით, არამედ მეთოდებითაც უნდა ვცდილობდეთ, როდესაც საქმე სადოქტორო ნაშრომს ეხება. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ვინაიდან მეთოდი არის სწორედ ის გზა, რის მეშვეობითაც თქვენ აწარმოებთ კვლევას, იგი ნათლად უნდა იყოს ახსნილი მკითხველისათვის. არ არის გამორიცხული, რომ კრიტიკა მკითხველმა სწორედ თქვენს მეთოდზე მიიტანოს.

მეთოდის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება კი მთლიანი კვლევის შედეგებისათვის ჩრდილის მიყენებას ნიშნავს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მეთოდის შერჩევისას კონსულტაცია წინასწარ გაიაროთ ხელმძღვანელსა და გამოცდილ მკვლევრებთან.

11. თეორიული ჩარჩო – თეორიული ჩარჩო სადოქტორო ნაშრომის აუცილებელი ნაწილია. ამ განყოფილებაში წარმოდგენილია ის სამეცნიერო და ლიტერატურული დებატი, რომელშიც მონაწილეობს ავტორი, და რომელსაც აკრიტიკებს და ამდიდრებს იგი საკუთარი კვლევით. ამ განყოფილების მიზანია, მკითხველს გააცნოს ის სამეცნიერო სფერო, სადაც აპირებს წვლილის შეტანას და ხაზი გაუსვას იმ ნაკლოვანებებს, რომელთაც მისი სამეცნიერო ნაშრომი შეავსებს. თეორიული ჩარჩო არის სახელმძღვანელო სამეცნიერო ლიტერატურაში და სწორედ ჩარჩოს გაცნობით ხვდება მკითხველი, თუ რა ლიტერატურას და რომელ მეცნიერებს ეხმიანება ავტორი საკუთარი კვლევით.

12. ძირითადი ნაწილი – ბუნებრივია, რომ ძირითადი ნაწილი დისერტაციის ყველაზე მოცულობითი ნაწილია. ის მოიცავს დისერტაციის არსს და, შესაბამისად, იშლება თავებისა და ქვეთავების მიხედვით. აქვე ავტორებს შეიძლება დაეხმაროს სამეცნიერო წვლილის შეტანისა და განმარტების შესაძლო გზები, რომლებიც ჰარვარდის უნივერსიტეტის გლობალური სამართლისა და პო-

ლიტიკის ინსტიტუტში დამუშავდა.²⁸ აქ ჩამოთვლილია კვლევის მეშვეობით სამეცნიერო წვლილის შეტანის რამდენიმე მიდგომა, რომლებიც შეიძლება გამოგადგეთ დისერტაციის საკითხის შერჩევისას:

1. მე ვთავაზობ ახალ მიდგომას უკვე დამკვიდრებულ ემპირიულ მსჯელობაში ან დოქტრინაში;
2. მე ვაპირებ, გავუკეთო რეორგანიზება ან ახლებური ინტერპრეტაცია უკვე დამკვიდრებულ დოქტრინას;
3. მე გამოვავლენ ახალ, აქამდე უცნობ მხარეს უკვე დამკვიდრებულ მიდგომაში რომელიმე საკითხთან;
4. ახალი მტკიცებულებების ან ახალი მიდგომის საფუძველზე მე ვთავაზობ ახლებურ პოლიტიკას რაიმე სოციალურ სფეროში;
5. ახალი იდეების ან ახალი მტკიცებულებების საფუძველზე მე წვლილი შემაქვს თეორიულ, იურისპრუდენციულ ან პოლიტიკურ დებატში;
6. მე წარმოვადგენ ახალ ან განახლებულ ინტერდისციპლინურ მიდგომას ან პროექტს;
7. მე წვლილი შემაქვს ორ დისციპლინაში ერთდროულად და, შესაბამისად, ვცვლი ორივე დისციპლინას თავისებურად;

²⁸ *An IGLP Approach for First Time Panel Presenters*, Institute for Global Law and Policy, Harvard Law School, <http://iglp.law.harvard.edu/the-iglp-approach/> [09.11.2017 10:15].

8. მე ვახდენ ორი ისეთი ფენომენის შედარებას, რაც არ გაკეთებულა მანამდე და ამით ვავლენ ახალ შესაძლებლობებს, ან ვცვლი ორივეს აღქმას;
9. მე ახლებურად წარმოვადგენ ისტორიას და წარმოვაჩენ იმ მხარეებს, რომლებიც მანამდე არ იყო დანახული და წარმოჩენილი;
10. მე ახლებურად წარმოვაჩენ დისციპლინის, სფეროს ისტორიას, რათა კითხვის ნიშნები დავესვა მისი გაგებისა და ძირითადი დებულებების შესახებ;
11. მე წარმოვაჩენ ზოგიერთი თეორიის, დოქტრინისა და პოლიტიკის პრობლემურ მიდგომებს, რომელთაც არ ვეთანხმები;
12. არსებულ მიდგომებში, არგუმენტებსა და თეორიებში ვამხელ და ვააშკარავებ წინააღმდეგობებს, კონფლიქტებსა და ბუნდოვანებას;
13. მე ვუთითებ და ვხსნი იმ მიკერძოებულობასა და უზუსტობებს, რომელთაც არსებული მიდგომა უგულებელყოფს;
14. მე შემომყავს ახალი თეორეტიკოსები, შემომაქვს ახალი თეორია, პირადი ნარატივები ან ახალი ემპირიული მეთოდები, რათა გავიაზროთ ნაცნობი ფენომენი/პრობლემები;

15. მე მომაქვს ახალი მონაცემები ან ახლებური ანალიზი, რომელიც უარყოფს დამკვიდრებულ ემპირიულ მეთოდებს;
16. მე რეფორმისტული იდეების გაუთვლელ და აქამდე უცნობ შედეგებს აღვნიშნავ და ვასაბუთებ.

13. დასკვნა – მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ შეჯამება და დასკვნა: შეჯამება არის ნაშრომის მოკლე შინაარსი; დასკვნა კი პასუხობს კითხვებზე:

- რა მიგნება გააკეთეთ?
- რა აღმოაჩინეთ?
- რა შეცვალეთ თქვენი კვლევით და რა მიღწევით ამაყობთ?
- რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას?

დასკვნის ერთ-ერთ ქვეთავს პირობითად შეიძლება დავარქვათ „წვლილი მეცნიერებაში“. ეს ნაწილი პასუხობს კითხვას: და მერე რა? რა იცვლება თქვენი შრომით? რა სიახლე მოაქვს თქვენს კვლევას? ეს ნაწილი საკმაოდ რთული დასაწერია, ვინაიდან ხშირად ავტორისათვის ისედაც ცხადია, რამხელა მნიშვნელობა აქვს მის მიერ გაკეთებულ აღმოჩენას ან მიგნებას. მაგრამ გვახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი ჩვენს თავშია. კვლევის მნიშვნელობას, და იმას, რა იცვლება ამ მიგნებით, შესაბამისი ახსნა სჭირდება, რათა ის მკითხველამდე იყოს მიტანილი. გაიხსენეთ ის ანეგდოტი, მეზობე-

ლი რომ მეზობელთან უთოს სათხოვნელად მიდის, გზაში კი ისე გაიხლართება საკუთარ აზრებში, რომ კარის გაღებისას მეზობელს ეჩხუბება. ავტორებს ხშირად მსგავსი შეცდომა მოგვდის. ჩვენი ნაშრომის მნიშვნელობა იმდენად ცხადი გვგონია, რომ დროს აღარ ვუთმობთ მნიშვნელობის ახსნას.

ამ ეტაპზე აზრაცხადად გადმოეცით ამ კითხვაზე პასუხი და ახსენით თქვენი მიგნებების მნიშვნელობა. მაგალითად, თქვენი კვლევა იყო სასამართლოში მოსამართლე ქალების მონაწილეობასა და როლზე. ამისათვის გამოყენებული გქონდათ ემპირიული მეთოდოლოგია, რის მიხედვითაც დაადგინეთ, რომ ქალების რაოდენობა სასამართლოში ძალიან მცირეა. კვლევის ამ ნაწილში თქვენ ახსნით, თუ რა ცვლილება მოაქვს ასეთ აღმოჩენას, რა სიახლეს გვთავაზობს იგი. აქვე შეიძლება დაინეროს ის რეკომენდაციებიც, რომლებიც კვლევის შედეგად ჩამოგიყალიბდებოდათ. ემპირიული მიგნება ძვირფასია თავისთავად, მაგრამ სჭირდება შესაბამისი ფორმის შერჩევა. ამ შემთხვევაში, კითხვაზე – და მერე რა? – პასუხი შეიძლება იყოს ბევრნაირი: მაგალითად, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ უნდა შეიცვალოს მოსამართლეთა დანიშვნის სისტემა, შეიძლება ნიშნავდეს, რომ ჩასატარებელია რეფორმა.

დასკვნამდე თქვენი კვლევა ის აღმასია, რომელსაც დახვეწა, ბრილიანტად ქცევა სჭირდება. დასკვნაში

თქვენ მას გააშალაშინებთ, ანუ ფართოდ მისაღებს და გასაგებს გახდით.

14. ბიბლიოგრაფია – ბიბლიოგრაფია არის გამოყენებული ლიტერატურის ორგანიზებული ჩამონათვალი. სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა იმდენად ვრცელია, რომ მას თემატური ორგანიზება სჭირდება. ბიბლიოგრაფია უნდა იყოს შთამბეჭდავი. მკითხველი, თქვენი კომიტეტის წევრი თუ სხვა პირი, ბიბლიოგრაფიას რომ გადახედავს, უკვე ხვდება, რა ლიტერატურა გამოიყენა ავტორმა. ამავე დროს, თუ მიუთითებთ იმ ლიტერატურას, რაც არ გაქვთ წაკითხული, ეს წინ დაგხვდებათ დაცვის დროს. მაგალითად, თუ ნახსენები გაქვთ რომელიმე ავტორის რომელიმე წიგნი და გამომცდელისთვის ცნობილი იქნება მისი მთავარი არგუმენტი და შინაარსი, შესაძლებელია, დაცვის დიდი ნაწილი სწორედ მას დაეთმოს.

III. წყაროს მითითების სტანდარტები

წყაროს მითითებით ჩვენ ვაღიარებთ სხვის ინტელექტუალურ შრომას. წყაროს მითითებისას ვეყრდნობით სხვის ნააზრევსა და ნაშრომს, რათა ერთი საფეხურით კიდევ წინ წავწიოთ ცოდნა რაიმე სფეროში. წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნააზრევის გამოყენება ინტელექტუალურ ქურდობად ანუ პლაგიატად ითვლება. პლაგიატი მძიმე ინტელექტუალური დანაშაულია, რისთვისაც უნივერსიტეტებში სტუდენტი ძალიან მკაცრად ისჯება, ხშირად კურსიდან გარიცხვითაც. წყაროს მითითება მკითხველს საშუალებას აძლევს, დაინახოს, რომ ავტორი დაეყრდნო სხვის კვლევას, სხვის ნააზრევს და თუ დასჭირდა, თავადაც შეუძლია, უფრო დანვრილებით დაინტერესდეს ავტორის მიერ მითითებული წყაროებით. ნებისმიერი მითითების მოტანის სამი მიზეზი არსებობს:

- დააფიქსიროთ, რომ თქვენი პოზიცია კარგადაა გამოკვლეული;
- პატივი სცეთ წყაროს ავტორს;
- მისცეთ მკითხველს საშუალება, მოახერხოს წყაროს იდენტიფიცირება და მოძებნა.

მითითების ორი ფორმა არსებობს: ციტატა და პერიფრაზი.

1. ციტატა

ციტატის დროს ჩვენ პირდაპირ გადმოგვაქვს ავტორის ნათქვამი ბრჭყალებში და ციტატის ბოლოს ვუთითებთ სქოლიოს, სადაც ვახსენებთ ზუსტ წყაროს.

მაგალითად:

როგორც გიორგი ბურჯანაძე აღნიშნავს, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა. წარმომადგენლობითი, დემოკრატიული ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ასპექტია მოსახლეობის მონაწილეობა სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში.“¹

1.1. თუ ციტატისათვის ვიღებთ წინადადების მხოლოდ ნაწილს, მაშინ მრავალწერტილით აღვნიშნავთ ამონარიდის დასაწყისსა და დასასრულს.

მაგალითად:

„... უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პატიმრის უფლებები არ იყო დარღვეული...“

ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, მიხვდეს, რომ ციტატა გრძელი წინადადების ნაწილია და, დაინტერესების შემთხვევაში, იპოვოს მთლიანი წინადადება.

2. პერიფრაზი

მითითების მეორე ფორმაა პერიფრაზი. პერიფრაზის დროს ჩვენ პირდაპირ კი არ გადმოგვაქვს ავტორის აზრი, არამედ ჩვენი სიტყვებით, სახეცვლილი ფორმით ვთავაზობთ მას მკითხველს, თუმცა აუცილებლად ვა-

ღიარებთ, რომ ამ აზრის ავტორი სხვაა და სქოლიოში წყაროს ვუთითებთ.

წყაროს მითითების გარეშე გადმოტანილი აზრი პლაგიატად ანუ ინტელექტუალურ ქურდობად ითვლება.

მაგალითად:

ამონარიდი წყაროდან:

სუბიექტების თეორიიდან განვითარდა ე.წ. სპეციალური სამართლის თეორია, რომლის თანახმად საჯარო სამართალი არის სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური სამართალი, ხოლო კერძო სამართალი – ზოგადი სამართალი ყველასთვის. სახელმწიფო იყენებს კერძო სამართალს, როგორც ზოგად სამართალს, თუ აუცილებელი არ არის საჯარო სამართლის, როგორც სპეციალური სამართლის გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ თეორიის არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ საჯარო სამართალი არ კრძალავს, სახელმწიფოს შეუძლია იყოს მენარმე და თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ზოგადი კერძო სამართალი, ე.ი. იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფო საჯარო ამოცანებს ასრულებს, შეუძლია მას კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისა და ინსტიტუტების გამოყენება, თუ საჯარო სამართალი პირდაპირ არ კრძალავს ამგვარ მოქმედებას.²⁹

²⁹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011,13.

პერიფრაზი სქოლიოს გარეშე, ანუ პლაგიატი

სპეციალური სამართლის თეორიის მიხედვით, საჯარო სამართალი წარმოადგენს სპეციალურ სამართალს, ხოლო კერძო სამართალი ზოგადი სამართლის სახეს. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი არ არის სპეციალური სამართლის გამოყენება, სახელმწიფო იყენებს ზოგად სამართალს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს შეუძლია, სამართლებრივ ურთიერთობაში გამოვიდეს როგორც მენარმე და თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად იხელმძღვანელოს ზოგადი კერძო სამართლით. ე.ი., სახელმწიფო თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას შეიძლება მოგვევლინოს როგორც კერძო სამართლის სუბიექტი და იხელმძღვანელოს ზოგადი სამართლით, თუ ამგვარი ქმედება აკრძალული არ არის საჯარო ანუ სპეციალური სამართლით.

3. სქოლიოს მითითების ფორმა

სქოლიოს მოტანის ნებისმიერი მეთოდი მოითხოვს ვარჯიშსა და წესების ცოდნას. ხშირად, ძირითადად თავიდან, სქოლიოს წაკითხვა უფრო ადვილია, ვიდრე მისი მოტანა. სქოლიო შედგება სამი ელემენტისაგან:

- 1) სიგნალი,
- 2) წყარო,
- 3) ფრჩხილებში ჩართული ინფორმაცია.

სქოლიო ინერება იმავე ფონტით, რა ფონტიც არის დაწერილი ტექსტი, მხოლოდ უფრო მცირე (10) ზომით. სქოლიოები შეგვიძლია დავაშოროთ 1 ინტერვალით ან განვათავსოთ ტექსტი მიჯრით (0 ინტერვალს). ტექსტში სქოლიო თავსდება წინადადების ბოლოს, წერტილის შემდეგ; თუ მითითებას მხოლოდ წინადადების ნაწილზე ვაკეთებთ, მაშინ სქოლიოს ნიშანს სასვენი ნიშნის, თუ ასეთი გვაქვს (მძიმის), შემდეგ ვათავსებთ. ციტატის შემთხვევაში, მითითება თავსდება დამხურავი ბრჭყალის შემდეგ.

3.1. როდესაც ერთ სქოლიოში მოთავსებულია რამდენიმე წყარო, უნდა მოხდეს წყაროების დალაგება იერარქიების მიხედვით, შემდეგი თანმიმდევრობით: კონსტიტუცია, კანონი, ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები, ნორმატიული აქტები, წიგნი და სტატია.

3.2. თუ ერთსა და იმავე საკითხზე გაქვთ რამდენიმე წყარო, შესაძლებელია, მიუთითოთ ყველა. ამავე დროს, თუ საკითხზე არსებობს განსხვავებული აზრი, მიუთითეთ წყარო, რომელიც ადასტურებს თქვენს ნაწერს და, ასევე მიუთითეთ წყარო, რომელიც გამოხატავს განსხვავებულ აზრს. ეს თქვენს კვლევას მიანიჭებს ხარისხს, ვინაიდან მკითხველს მისცემთ საშუალებას, ჩაუღრმავდეს სამეცნიერო კამათს კონკრეტულ საკითხზე.

3.3. საუკეთესო კვლევა შედგება ორივე, პირველადი და მეორეული, წყაროსგან: პირველადი წყარო გადმოსცემს ინფორმაციას, რომელიც არ არის დამუშავებული ვინმეს მიერ, მაგალითად: ისტორიული დოკუმენტი, გადაწყვეტილება, ინტერვიუ, ამონაბეჭდი გაზეთიდან. პირველადი წყაროების მოპოვება საკმაოდ რთული და შრომატევადია, ხშირად საარქივო კვლევასაც საჭიროებს. ამიტომაც, რაც უფრო მეტ პირველად წყაროს გამოიყენებთ, ეს მხოლოდ გაამდიდრებს თქვენს ნაშრომს მკითხველის თვალში; მეორეულია წყარო, რომელიც პირველად წყაროს გადაამუშავებს, მაგალითად: სამეცნიერო სტატია, წიგნი რომელიმე საკითხზე.

თუ სქოლიოში გასურთ რამდენიმე წყაროს მითითება, რომლებშიც პირველადი და მეორეული წყაროებიც შედის, დაიწყეთ პირველადი წყაროების ჩამოთვლით და შემდეგ გადადით მეორეულ წყაროებზე, ვინაიდან პირველადი წყაროების მოპოვებისას ავტორი უფრო მეტ ჯაფას ხარჯავს და, შესაბამისად, პირველადი წყაროების აღნიშვნა უფრო მნიშვნელოვანს ხდის კვლევას.

4. გვერდები და სათაურები

4.1. გვერდის ქვედა კუთხე უნდა დაინომროს, ნუმერაცია უნდა იწყებოდეს მესამე გვერდიდან.

4.2. თუ სამაგისტრო ან სადისერტაციო ნაშრომს ვამზადებთ და თავდაპირველი გვერდები ამ სახელმძღვანე-

ლოში მოხსენიებულ სხვადასხვა მახასიათებელს მოიცავს (მიძღვნა, ავტობიოგრაფია, აბრევიატურების ჩამონათვალი), მაშინ ნაშრომის თავსართებს ვნომრავთ რომაული ციფრებით, ხოლო თავად ტექსტს არაბულით. პირველ გვერდზე არ უნდა იყოს ნომერი.

4.3. პირველ გვერდზე მოთავსებულია ნაშრომის სათაური და სხვა მახასიათებლები: ავტორი, თარიღი, კურსის, ხელმძღვანელის დასახელება.

5. პუნქტუაცია

5.1. სქოლიოში პუნქტუაციის მნიშვნელობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. პუნქტუაციით ვარჩევთ შემოკლებებს, ამიტომ მისი დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია: ნერტილები და მძიმეები ყოველთვის უნდა იყოს მოთავსებული მახასიათებლებს შორის.

5.2. ყველა სქოლიო უნდა დასრულდეს ნერტილით.

6. სივრცის დატოვება

წინადადებებსა და სიმბოლოებს შორის დატოვეთ მხოლოდ ერთი თავისუფალი სივრცე.

7. ნომრები

ძირითადად რიცხვები, ნულსა (0) და ოთხმოცდაცხრა-

მეტს (99) შორის, რომლებიც ტექსტში მოიხსენიება, უნდა დაინეროს სიტყვიერად.

8. ბლოკციტატები

სასურველია, გადმოსცეთ წყაროს მოსაზრებები საკუთარი სიტყვებით და მიუთითოთ შესაბამისი სქოლიო. ერიდეთ გრძელი ციტატების ჭარბად გამოყენებას. ამ შემთხვევაში, ნაკლებად ჩანს თქვენი, როგორც ავტორის, ინტელექტუალური წვლილი.

8.1. ორმოცდაათი (50) ან მეტი სიტყვის ციტირება იწერება მარჯვნიდან ბრჭყალების გარეშე და თავსდება გვერდის შუაში. ორმოცდაათ სიტყვაზე ნაკლები ციტირება თავსდება წინადადების და ტექსტის შიგნით ბრჭყალებში.

9. წიგნი

წიგნის დამონმებისას იწერება ავტორის სახელის ინიციალი, გვარი, *წიგნის სათაური*, გამოცემა, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი.

ქ. ერემაძე, *ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში*, პირველი გამოცემა, თბილისი, 2013, 21.

9.1. წიგნზე ორი ან მეტი ავტორი

ინერება პირველი ორი ავტორის სახელების ინიციალები, გვარები (ორზე მეტი ავტორის შემთხვევაში, პირველი ორი ავტორის შემდეგ ინერება „და სხვ.“), *სათაური*, გამოცემა, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი.

ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე და სხვ., *მედიასამართალი*, პირველი გამოცემა, თბილისი, 2014, 38.

9.2. მიძღვნილი კრებული

სახელის ინიციალი, გვარი, სტატიის სათაური, სახელი და გვარი, საიუბილეო კრებულის მითითება, წლის მითითება, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი.

ზ. ძლიერიშვილი, *ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან*, რომან შენგელია – 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, 329.

9.3. ნათარგმნი წყაროები

ავტორის/ავტორების სახელის/სახელების ინიციალ(ებ)ი, გვარი/გვარები, *სათაური*, მთარგმნელის/ მთარგმნელების სახელის/სახელების ინიციალ(ებ)ი, გვარი/გვარები, გამოცემა, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი.

ვ. გაული, *კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში*, კ. კუბლაშვილის თარგმანი, პირველი გამოცემა, თბილისი, 2002, 97.

9.4. სტატიათა კრებული

სახელის ინიციალი, გვარი, *სტატიის სათაური*, კრებულის სახელწოდება, რედაქტორი, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი.

ნ. ჭილაძე, *ქალთა საარჩევნო უფლება*, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2014, 319.

9.5. კომენტარიდან მითითება

კომენტარის ავტორის სახელის ინიციალი, გვარი, *კომენტარის სათაური*, რედაქტორი/რედაქტორები, ტომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოცემა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი, მუხლის ნომერი, გვერდი.

ზ. მაჭარაძე, *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა*. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რედ. პ. ტურავა, პირველი გამოცემა, თბილისი, 2013, 46-ე მუხლი, 619.

10. დისერტაცია

სახელის ინიციალი, გვარი, *სათაური*, მიეთითოს დისერტაცია (დის.), უნივერსიტეტის აბრევიატურა, წელი, გვერდი.

გ. კახიანი, *საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი* (დის.) თსუ, 2008, 41.

11. სამეცნიერო ჟურნალი

სახელის ინიციალი, გვარი, *სტატიის სათაური*, ჟურნალის სახელწოდება, თვე (ან ნომერი), წელი, გვერდი.

ლ. მოსახლიშვილი, *ინფორმაციის თავისუფლების პრინციპები*, სამართლის ჟურნალი, N1, 2013, 187.

12. სამეცნიერო ჟურნალიდან ნათარგმნი სტატია

სახელის ინიციალი, გვარი, *სტატიის სათაური*, მთარგმნელის სახელის ინიციალი, გვარი, ჟურნალის სახელწოდება, თვე (ან ნომერი), წელი, გვერდი.

13. გაზეთიდან ციტირება

სახელის ინიციალი, გვარი, *სტატიის სათაური*, გაზეთის სახელწოდება, გაზეთის გამოცემის თარიღი, გვერდი.

14. ანგარიში, მოხსენება ან დასკვნა

მოხსენების ავტორის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კონკრეტული პირის შემთხვევაში ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, რაიმე ორგანოს, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციის, მოხსენების ან დასკვნის შემდგენლის ოფიციალური სახელწოდება, *მოხსენების სახელწოდება*, გამოქვეყნების თარიღი, გვერდი.

საქართველოს სახალხო დამცველი, *ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*, 2011, 151.

14.1. სტატიის, ანგარიშის, მოხსენების დასკვნის, მოსაზრებების ციტირება, რომელიც ელექტრონული ფორმით არსებობს და არ მომხდარა მისი ბეჭდური სახით გამოცემა

მოხსენების ავტორის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კონკრეტული პირის შემთხვევაში ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, რაიმე ორგანოს, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციის, მოხსენების ან დასკვნის შემდგენლის ოფიციალური სახელწოდება, *მოხსენების სახელწოდება*, გამოქვეყნების თარიღი ციფრებით, ინტერნეტგამოცემის სახელი, გვერდი, ვებგვერდის URL მისამართი, სადაც განთავსებულია მოხსენება, კვადრატულ ფრჩხილებში თარიღი და დრო, როდესაც შეამოწმეთ ვებგვერდი.

საქართველოს სახალხო დამცველი, გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, 16.12.2017, საქართველოს სახალხო დამცველი, 6. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4911.pdf> [1 1.26.2017 11:15]

ამ წესის არსი ისაა, რომ ინტერნეტრესურსები საკმაოდ მალეცვალებად წყაროებს მოიცავს. ინტერნეტწყარო შეიძლება შეიცვალოს ან საერთოდ გაქრეს და თარიღისა და დროის მითითება იძლევა საშუალებას, ზუსტად დადგინდეს ინტერნეტწყაროს ის ვერსია, რომელიც იყო გამოყენებული.

15. ინტერნეტწყარო

ავტორის სახელის ინიციალი, გვარი, *ნაშრომის სათაური*, გამოქვეყნების თარიღი ციფრებით, გვერდი, ინტერნეტგამოცემის სახელი, ვებგვერდის URL მისამართი, წყაროს ნახვის თარიღი და დრო კვადრატულ ფრჩხილებში.

ა. დოლიძე, *მოთქმა ხმითა...*, ლიბერალი, 20.09.2012, <http://liberali.ge/blogs/view/5531/motqma-khmita> [06.12.2017 11:20]

16. სასამართლოს აქტები

16.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

16. 1. 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება

სასამართლოს სახელი, გადანყვეტილების თარიღი, საქმის ნომერი, *საქმის სახელი*, აღწერილობითი, სამოტივაციო ან სარეზოლუციო ნაწილი და პარაგრაფი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადანყვეტილება №3/1/659 საქმეზე – *საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, პ. 25.

16.1.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება

სასამართლოს სახელი, განჩინების თარიღი, საქმის ნომერი, აღწერილობითი, სამოტივაციო ან სარეზოლუციო ნაწილი და პარაგრაფი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება №3/1/855, II, პ. 11.

16.1.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი

სასამართლოს სახელი, განჩინების თარიღი, საქმის ნომერი, აღწერილობითი, სამოტივაციო ან სარეზოლუციო ნაწილი და პარაგრაფი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის საოქმო ჩანაწერი N1/7/864, III, პ. 2.

16.2. საქართველოს საერთო სასამართლოების აქტები

სასამართლოს სახელი, სასამართლოს პალატის/კოლეგიის დასახელება, გადაწყვეტილების/განაჩენის/განჩინების/ბრძანების მიღების თარიღი, ნომერი და სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში).

ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის №3-197 განჩინება.

16.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აქტები

აბრევიატურა ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე (ECHR/COE), თარიღი, საქმის სახელწოდება (ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე), პარაგრაფის ნომერი.

თუკი მოსამართლის განსხვავებული აზრის ციტირება ხდება, იგი მიეთითება ფრჩხილებში პარაგრაფამდე.

ECHR, 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე – *Asanidze v. Georgia*, პ. 39.

16.4. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აქტები

აბრევიატურა ინგლისურ ენაზე (ICJ), თარიღი, *საქმის სახელწოდება*, მონაწილე მხარეები (ორივე ინგლისურ ენაზე), პარაგრაფის ან გვერდის ნომერი.

ICJ, 2016 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – *Immunities and Criminal Proceedings* (Equatorial Guinea v. France), 63.

17. კანონის ციტირება

17.1. ნორმატიული ძალის მქონე კანონების ციტირება „*ნორმის სახელწოდება*“; მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვე-პუნქტი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

საქართველოს კანონი „*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის*“ 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

17.2. ძალადაკარგული ნორმატიული აქტის ციტირება

„ნორმის სახელწოდება“, მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვე-პუნქტი (ფრჩხილებში აღინიშნება ნორმის გაუქმების თარიღი).

საქართველოს კანონი „საქართველოს სამხედრო ძალე-ბის რაოდენობის დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლი (ძალადაკარგულია: 24.12.2013).

17.3. უცხო ქვეყნის ნორმატიული აქტის მითითება

ნორმის სახელწოდება აქტის გამოცემის ენაზე (ნორმის ქართული სახელწოდება ფრჩხილებში), მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვეპუნქტი.

Code Pénal de France (საფრანგეთის სისხლის სამარ-თლის კოდექსი), მუხლი 132-22.

18. საერთაშორისო ხელშეკრულებები

იმ შეთანხმების სათაური, რომლის მონაწილეც საქარ-თველოა, მიეთითება ქართულ ენაზე (სხვა დანარჩენ შემ-თხვევაში სათაური ინგლისურ ენაზე მიეთითება); ასევე მიეთითება: შეთანხმების ტიპი, ორი ან სამი მონაწილის არსებობისას – საერთაშორისო შეთანხმების მხარეების ჩამონათვალი, საერთაშორისო შეთანხმების მიღების ან ხელმოსაწერად გახსნის თარიღი (თუ შეთანხმების მიღე-

ბა და მისი ძალაში შესვლა ერთმანეთს ემთხვევა, მხოლოდ ერთი თარიღი მიეთითება), საერთაშორისო შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღი, მუხლი.

საქართველოს მთავრობასა და იორდანისის ჰაშიმიტური სამეფოს მთავრობას შორის 2016 – 2021 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ განსახორციელებელი პროგრამა, 19.12.2016, მე-9 მუხლი.

19. წყაროები უცხო ენაზე

თანამედროვეობაში იშვიათია მეცნიერული კვლევა, სადაც არ დაგვჭირდება უცხო ენაზე არსებული წყაროების გამოყენება. წყაროების მრავალფეროვნება მხოლოდ აუმჯობესებს კვლევის ხარისხს. როდესაც წყარო უცხო ენაზეა, იგი მიეთითება გამოცემის ენაზე. სხვა მხრივ დაცული უნდა იყოს ამ სახელმძღვანელოს წესები.

20. უკვე მითითებული სქოლიოს გამოყენება

20.1. ხშირად ავტორს სჭირდება, არაერთხელ გამოიყენოს ერთი და იგივე წყარო. მთლიანი წყაროს გამეორების მაგივრად, ამ შემთხვევაში გამოიყენება შემოკლება: სქოლიო *supra*, სქოლიოს ის ნომერი, სადაც წყარო პირველად გამოიყენეთ, ნომერი და გვერდი.

სქოლიო *supra* 13, 8.

20.2. თუ იყენებთ ქვევით მითითებულ სქოლიოს, მიუთითეთ სქოლიო, *infra*, შესაბამისი ნომერი და გვერდი.

სქოლიო *infra* 24, 135.

20.3. თუ იყენებთ ქვევით ან ზევით მითითებულ სქოლიოს, თუმცა იყენებთ უკვე გამოყენებული სქოლიოდან მხოლოდ ერთ წყაროს, მაშინ მიუთითეთ წყაროს ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, რათა წყარო სხვა წყაროებისაგან გამოარჩიოთ.

სქოლიო *supra* 13, ლ. ჭანტურია, 22.

20.4. თუ სქოლიოში წინა სქოლიოს წყაროს იმეორებთ პირდაპირ, მაშინ მიუთითეთ „იქვე.“

იქვე.

20.5. თუ სქოლიოში იმეორებთ წინა სქოლიოში გადმოცემულ წყაროს, თუმცა უთითებთ სხვა გვერდს, მაშინ მიუთითეთ „იქვე“ და გვერდი.

იქვე, 45.

დასკვნა

წინამდებარე სახელმძღვანელო გადმოსცემს აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს. ეს პრინციპები საბაზისოა. ისინი კარგი აკადემიური ნაშრომის აუცილებელი ელემენტებია, ის ელემენტები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ესეს, ანგარიშს, სამეცნიერო ან პუბლიცისტურ სტატიას. სახელმძღვანელოში გადმოცემული ელემენტები აუცილებლად გასათვალისწინებელია, განსაკუთრებით, მათთვის, ვინც უცხოეთში აპირებს სწავლას. წარმოიდგინეთ, რომ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში ეს პრინციპები ანბანური ჭეშმარიტებაა.

ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში აკადემიური წერის სტანდარტები ძალიან დაბალია. ისეთი უღირსი საქციელიც კი, როგორიცაა პლაგიატი, ხშირად გვხვდება არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ ჩამოყალიბებულ მეცნიერთა გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ხშირად წავანყდებით სადოქტორო ნაშრომებს ან მონოგრაფიებს, რომელთაც სათანადო სქოლიოები არ ახლავს. შესაბამისად, ამ ფონის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოში გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებიც პირველი და აუცილებელი საფეხურია აკადემიური წერის სტანდარტების გასაუმჯობესებლად. უდავოა, რომ საუკეთესო საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის გამოსაქვეყნებლად ბევრად მეტი შრომა და დაკვირვებაა საჭირო.

ამრიგად, ეს სახელმძღვანელო შეიძლება შევადაროთ საცხოვრებელი სახლის პროექტს, რომელიც სახლის იდეის მხოლოდ ჩონჩხია. საპროექტო ნახაზის გარეშე სახლი ვერ იგება, თუმცა დასრულებული სახლისათვის ბევრად მეტი რამაა საჭირო – კოსმეტიკური გაფორმება, ფერებისა და მა-

სალების შერჩევა უკვე მფლობელის გემოვნებაზეა დამოკიდებული, ამ ეტაპზე წყდება, სახლი რა ხარისხისა და რა გემოვნების გამომხატველი იქნება. წინამდებარე სახელმძღვანელოს დანიშნულებაც საპროექტო ნახაზის მსგავსია: ის მოიცავს აკადემიური ნაშრომის აუცილებელ ელემენტებს, ელემენტებს, რომელთა გარეშე ნაშრომი ვერ აიგება. ნაშრომის ინდივიდუალურად დახვეწა, აღმატებული და გამორჩეული ხარისხის მინიჭება უკვე ავტორის შემდგომი შრომისა და მისწრაფების საქმეა.

ენობრივი რედაქტორი **თამარ გაბელაია**
დამკაბადონებელი **ნანა დუმბაძე**
დიზაინერი **ირაკლი უშვერიძე**



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com



ანა დოლიძემ 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2004 წელს მიენიჭა ლეიფენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრის ხარისხი. 2013 წელს კორნელის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ანა დოლიძეს სამუშაო გამოცდილება მიღებული აქვს მრავალ საერთაშორისო და ქართულ ორგანიზაციაში. მათ შორის: 2004-2006 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე და ამავე წლებში საზოგადოებრივი მოძრაობის – „არა – ძალადობას“ – ერთ-ერთი ლიდერი. მას ლექციები წაკითხული აქვს მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტში, არის მრავალი სამეცნიერო, პოლიტიკური, სამართლებრივი და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი ქართულ და ინგლისურ ენებზე. მიღებული აქვს მრავალი პროფესიული სტიპენდია და ჯილდო.

ანა დოლიძე ამჟამად არის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ISBN 978-9941-26-151-0



9 789941 261510